პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 28 დეკემბერი, 1948 წ. № 257 (8301). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სოციალისტური შრომის სიდიადე და დიდება — „პრავდის" 27/XII მოწინავე (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომკავშირის ზოგიერთი მორიგი ამოცანის შესახებ—ამხ. ქ. ჩარკვიანის სიტყვა საქართველოს ალკკ XVII ყრილობაზე 1948 წლის 27 დეკემბერს (1-ლი, მე-2 და მე-3 გვერდი).

საქართველოს ალკკ XVII ყილობა (მე-3 გვერდი).

ათი წელი სოციალისტური შრომის გმირის წოდების დაწესე-ბის დღიდან (მე-3 გვერდი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე (მე-3 გვერდი).

პასუხი პროფესორ ჰენრი დეილს (მე-4 გვერდი).

მივაღწიოთ ჩამორჩენის ლიკვიდაციას გადასახადთა ნარჩენე-ბის აკრეფაში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

სოციალისტური შრომის სიდიადე და დიდება

ათი წლის წინათ — 1938 წლის 27 დეკემბერს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „წარჩინების უმაღლესი ხარისხის — სოციალისტური შრომის გმირის წოდების დაწესების შესახებ". იმავე დღეს შემოღებულ იქნა მედალი „შრომითი მამაცობისათვის" და მედალი „შრომითი წარჩინებისათვის". ამ მნიშვნელოვანი კანონებით საბჭოთა სახელმწიფომ ერთხელ კიდევ განსაკუთრებით აღნიშნა სოციალიზმის პირობებში შრომის უდიდესი მნიშვნელობა.

მთელი ხალხის სიყვარულის გამოხატულება იყო სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება საბჭოთა ხალხის გენიალური ბელადის, ჩვენი სამშობლოს ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორის ამხანაგ სტალინისათვის მისი დაბადების 60 წლისთავის დღეს „ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციის, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის, სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აგებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის".

დიდი სამამულო ომის პერიოდში სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლებს ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვს, ლ. პ. ბერიას, გ. მ. მალენკოვს, ა. ი. მიქოიანს, ლ. მ. კაგანოვიჩს.

საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე მოღვაწეობის 25 წლისთავის დღეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა მ. ი. კალინინს.

განვლილი ათი წლის მანძილზე სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის ათასობით მოწინავე ადამიანს, რომლებმაც თავიანთი შესანიშნავი ნოვატორული საქმიანობით განსაკუთრებული დამსახურება გამოიჩინეს სახელმწიფოს წინაშე, ხელი შეუწყვეს სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების აღმავლობას, სსრ კავშირის ძლიერებისა და დიდების ზრდას.

1947 წელს მიღებულ იქნა ბრძანებულებები სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. „ჩვენ ახლა ათასობით სოციალისტური შრომის გმირი გვყავს კოლმეურნეობებში, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შორის" (ვ. მ. მოლოტოვი). ეს მაღალი წოდება მიენიჭათ უხვი მოსავლის ოსტატებს და მეცხოველეობის მოწინავეებს. ამას წინათ მიღებულ იქნა ბრძანებულება მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებაში მოპოვებული მიღწევებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში გამრავლდება გმირებისა და ორდენოსნების რიგები.

სოციალისტური შრომის გმირის მინიჭებით საბჭოთა ხელისუფლებამ განადიდა უბრალო, თავდაბალი ადამიანების — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შრომითი საგმირო საქმეები, მათი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები გაუთანაბრა უაღრესად დიდ დამსახურებას სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეობის დარგში.

სოციალისტურმა წყობილებამ ძირეულად გარდაქმნა შრომა, მისი ხასიათი და მნიშვნელობა. ჩვენი საბჭოთა საზოგადოება, რომელიც დიადი სტალინური კონსტიტუციის კანონებით ცხოვრობს, ისეთი საზოგადოებაა, სადაც გაბატონებულია წარმოების იარაღისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ჩაგვრა. მძიმე და სამარცხვინო ტვირთიდან, როგორიც შრომა იყო კაპიტალიზმის დროს, შრომა სსრ კავშირში გადაიქცა საპატიო მოვალეობად, საკუთარი თავისათვის, თავისი სამშობლოსათვის და მთელი ხალხისათვის შრომად. ქალაქადაც და სოფლადაც იგი გახდა თავისუფალი და შემოქმედებითი შრომა, რომელიც მოწოდებულია გარდაქმნას ბუნება და წარმატებით დასძლიოს მისი სტიქიური ძალები. სოციალისტურ შრომას შეუძლია მოგვცეს ისეთი მაღალი ნაყოფიერება, რომელიც მიუწვდომელია კაპიტალიზმის პირობებში.

სოციალისტური საზოგადოება შრომას განიხილავს არა როგორც მარტო არსებობის წყაროს, არამედ როგორც ადამიანის ნიჭისა და უნარის უსაზღვრო გამოვლინების დარგსაც. ამიტომ სწორედ აქ, და მხოლოდ აქ, შრომა არის ღირსების, დიდების, მამაცობისა და გმირობის საქმე. საბჭოთა ხალხი განადიდებს თავისი საუკეთესო წარმომადგენლების — მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველების, მეცნიერებისა და ტექნიკის ნოვატორების, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების, გულმოდგინე მკვლევარებისა და ბუნების გარდამქმნელების შრომით საგმირო საქმეებს. ეს ადამიანები გამოზარდა ბოლშევიკურმა პარტიამ, აღზარდა დიდმა სტალინმა.

რა მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენს ბურჟუაზიულ ქვეყნებში უბრალო ადამიანის მძიმე ხვედრი საბჭოთა მოქალაქეების ცხოვრებასთან შედარებით, რომლებიც აღსავსენი არიან გაბედული შემართებითა და შემოქმედებითი მისწრაფებით! იქ შრომის ადამიანს კაპიტალისტური მონობის ხუნდები ადევს. საკუთარი მტრებისათვის — ექსპლოატატორებისათვის მძიმე და უმადური შრომა წარმოადგენს საშინელ უღელს, რომელიც მშრომელმა უნდა ზიდოს, რათა გადაირჩინოს თავი შიმშილით სიკვდილისაგან. მაგრამ მრავალი მშრომელისათვის ასეთი უსიხარულო არსებობაც კი მიუწვდომელია. ისინი ავსებენ უმუშევართა მრავალმილიონიან არმიას, შიმშილობენ და გაჭირვებაში ცხოვრობენ.

საბჭოთა სახელმწიფოში შრომა საზოგადოებრივი სიმდიდრის წყარო და მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელი აღმავლობის საფუძველია.

ლენინ-სტალინის პარტიის მიერ შთაგონებული სოციალისტური შეჯიბრება საყოველთაო, საერთო-სახალხო გახდა. 1948 წლის 6 ნოემბრის მოხსენებაში ვ. მ. მოლოტოვი ამბობდა: „შეჯიბრება არის სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი", როგორც ამას ამხანაგი სტალინი ამბობს. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ სოციალიზმის მშენებლობის ეს კომუნისტური მეთოდი უკვე ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მთელი მასის კუთვნილება გახდა". ყოველ თვე და ყოველ დღე სოციალისტური შეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობა იზრდება, მტკიცდება, მდიდრდება ახალი, უფრო ნაყოფიერი ფორმებით, რომლებსაც ხალხის ინიციატივა და შემოქმედება წარმოშობს. ამაში თავის მკაფიო გამოხატულებას პოულობს საბჭოთა ადამიანების პატრიოტული აქტივობის აღმავლობა, რომლებიც თავდადებით იბრძვიან ომისშემდგომი ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ამ ბრძოლის უდიდესი შედეგები ყველასათვის თვალსაჩინოა. საბჭოთა ხალხი წარმატებით აღადგენს ფაშისტური შემოსევისაგან დაზარალებულ მეურნეობას. ჩვენმა მრეწველობამ უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა 1940 წლის დონეს. ომისა და 1946 წლის გვალვის შედეგების ლიკვიდაციით, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობამ მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქციის მიხედვით უკვე მიაღწია, ხოლო მოსავლიანობის მიხედვით გადააჭარბა 1940 წლის დონეს. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია სსრ კავშირის მშრომელთა წარმატებანი მიმდინარე 1948 წელს. ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პროგრამა გადაჭარბებით შეასრულა მოსკოვის, ლენინგრადის, ჩელიაბინსკის, ხარკოვის, გორკის მრეწველობამ. დღეს „პრავდაში" ქვეყნდება წერილები ამხანაგ სტალინისადმი ტულისა და ტულის ოლქის მრეწველობის მუშაკთაგან და სტალინის სახელობის კუზნეცკის კომბინატის კოლექტივისაგან წლიური გეგმების ვადამდე შესრულების შესახებ. 1948 წლის გეგმა უკვე შეასრულეს სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობამ, რკინიგზის ტრანსპორტმა და წარმოების ზოგიერთმა სხვა დარგმა.

1948 წლის შეჯიბრების მნიშვნელოვანი თავისებურებაა საყოველთაო-სახალხო მოძრაობა წარმოების შინაგანი რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის, მომჭირნეობის სასტიკი რეჟიმისათვის, ზეგეგმითი დაგროვების შექმნისათვის. ამით მჟღავნდება საბჭოთა ადამიანების მისწრაფება — მისცენ თავიანთ მშობლიურ სახელმწიფოს რაც შეიძლება მეტი პროდუქცია, საუკეთესო ხარისხისა და შრომისა და მასალის დახარჯვის მხრივ რაც შეიძლება იაფი, შექმნან მძლავრი დაგროვება, გახადონ ჩვენი ქვეყანა უფრო მდიდარი და ძლიერი.

1948 წლის წარმატებებით აღფრთოვანებულნი სსრ კავშირის მშრომელნი არ კმაყოფილდებიან მიღწეულით, არამედ, პირიქით, დაულალავად ეძებენ ახალ რეზერვებს მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის მომავალ, ხუთწლედის მეოთხე წელს. სულ უფრო ფართოდ ინერგება საშუალო პროგრესული ნორმები. ამ უკანასკნელ დროს მრეწველობაში წარმოიშვა და სულ უფრო ვრცელდება სოციალისტური შეჯიბრების ისეთი ფორმები, როგორიც არის რაციონალიზატორთა კომპლექსური ბრიგადები, ზეგეგმით დაგროვებაში მუშების პირადი ანგარიშები, ინჟინრების შეფობა მუშებზე მათი საწარმოო-ტექნიკური სწავლების საქმეში. სოფლის მეურნეობაში ფართოდ ჩაღდება მოძრაობა მინდორსაცავი ტყის ზოლების შესაქმნელად და ნათესბალახიანი თესლბრუნვის დასანერგავად, უხვი და მყარი მოსავლისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის მისაღებად. ყველა ამ ძვირფასი წამოწყების აქტიურ ინიციატორებად გამოდიან საბჭოთა სამშობლოს სახელგანთქმული პატრიოტები — სოციალისტური შრომის გმირები, ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული მოწინავე ადამიანები. მათ უსწორდება, მათი გამოცდილებით მდიდრდება და მათ რიგებს ავსებს საბჭოთა სახელმწიფოს მშრომელთა მთელი მტკიცე მრავალმილიონიანი ოჯახი.

ამაში თავს იჩენს საბჭოთა ხალხის სოციალისტური შეგნებისა და შრომითი აქტივობის განუწყვეტელი აღმავლობა, ხალხისა, რომელიც ბოლშევიკების პარტიის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

„პრავდის" 27/XII მოწინავე

დაიხურა საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის X საოლქო და VIII საქალაქო გაერთიანებული კონფერენცია

ლენინგრადი, 25 დეკემბერი. (საქდესი). დღეს ოთხი დღის მუშაობის შემდეგ დაიხურა ლენინგრადის ბოლშევიკთა კონფერენცია.

კონფერენციამ საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი ერთხმად ცნო სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად. საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„კონფერენცია მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ლენინგრადის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ერთგული და ურღვევი ბურჯია, კვლავაც პრინციპულობისა და ორგანიზებულობის მაგალითის მაჩვენებელი იქნება ლენინ-სტალინის საქმისათვის, კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში".

კონფერენციამ აირჩია პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტები და სარევიზიო კომისიები.

უდიდესი აღფრთოვანებით მიღებულ იქნა წერილი — პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს კუზნეცოვს

შრომის სასახლე. მოსკოვი

შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და საფრანგეთის მუშათა კლასის სახელით მხურვალე მადლობას ვუძღვნით სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მუშებს სოლიდარობისათვის ფრანგი მაღაროელებისადმი, რომლებმაც ცხადყვეს, რომ ღირსი არიან საერთაშორისო სოლიდარობისა და რომლებიც არ დაივიწყებენ იმ ყურადღებას, რაც მათდამი სსრ კავშირის მუშათა კლასმა გამოიჩინა.

ძმური სალმით

ფრაშონი
ლე ლეაპი

წითელი დროშის ორდენი გადაეცა სევასტოპოლის კომკავშირულ ორგანიზაციას

სევასტოპოლი, 26 დეკემბერი. (საქდესი). დღეს გმირი ქალაქისა და შავი ზღვის ფლოტის კომკავშირული აქტივის საზეიმო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, მშრომელთა დეპუტატების ყირიმის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. კრივოშეინმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სევასტოპოლის საქალაქო კომკავშირულ ორგანიზაციას გადასცა წითელი დროშის ორდენი, რომლითაც იგი დაჯილდოებულია დიდ სამამულო ომში გმირობის გამოჩენისა და სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ტაშის გრიალში ორდენი მიამაგრეს საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის დროშას.

ქალაქისა და შავი ზღვის ფლოტის კომკავშირული აქტივის საზეიმო კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ახლად არჩეულ სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კრება

ტომსკი, 24 დეკემბერი. (საქდესი). შედგა ახლად არჩეულ სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა საქალაქო კრება.

მოხსენება — „სახალხო სასამართლოების მორიგი ამოცანები" გააკეთა რსფსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გ. ზ. ანაშკინმა.

ტომსკის ოლქში სახალხო სასამართლოების არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადყო მშრომელთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად არჩეული არიან კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები — ქარხნებისა და ფაბრიკების სტახანოველები, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ქალაქ ტომსკში არჩეულთა შორის 40 პროცენტი ქალებია.

სიტყვით გამოსულმა ვაგზლის რაიონის სახალხო მოსამართლემ ამხ. კროტკიხმა და სახალხო მსაჯულებმა ამხ. პროზოროვმა და ამხ. შაპოვმა პირობა დადეს, რომ გაამართლებენ ხალხის ნდობას, შეასრულებენ ამომრჩეველთა განაწესს, თხიზლად იდარაჯებენ საბჭოთა კანონიერების საგუშაგოზე.

კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნა მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

გამოიცა ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა მეორე ტომი ლიტვურ ენაზე

ვილნიუსი, 23 დეკემბერი. (საქდესი). ლიტვის სს რესპუბლიკის პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა მეორე ტომი თარგმნილი ლიტვურ ენაზე.

წიგნი გამოცემულია 20 ათას ცალად.

გამოცემულია ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეორე ტომი ფინურ ენაზე

პეტროზავოდსკი. (საქდესი). კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობამ მასობრივი ტირაჟით გამოუშვა ფინურ ენაზე ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეორე ტომი.

საქართველოს კომკავშირის ზოგიერთი მორიგი ამოცანის შესახებ

ამხ. ქ. ჩარკვიანის სიტყვა საქართველოს ალკკ XVII ყრილობაზე 1948 წლის 27 დეკემბერს

ამხანაგებო!

დღევანდელი ყრილობა დიდი მოვლენაა საქართველოს კომკავშირისა და მთელი ახალგაზრდობის ცხოვრებაში. ყრილობამ უნდა შეაჯამოს კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა უკანასკნელი 4 წლის მანძილზე და დასახოს მათი მუშაობის პროგრამა კომუნიზმის მშენებლობის მიმდინარე, მეტად საპასუხისმგებლო, პერიოდისათვის.

კომკავშირი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის თანაშემწე და რეზერვია. თვითეული კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ამართლებს იგი საქმით ამ საპატიო სახელს. ჩვენ, დღევანდელი ყრილობის მონაწილეებს შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ლენინურ-სტალინური კომკავშირი წარმატებით იბრძვის პარტიის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებისათვის და, მაშასადამე, ღირსეულად ასრულებს საქართველოს ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციების თანაშემწის მოვალეობას.

ქართველმა ახალგაზრდობამ, მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს ახალ თაობასთან ერთად, უკვდავი დიდებით შემოსა თავისი სახელი სამამულო ომის ფრონტებზე. საკმარისია ითქვას, რომ ქართველი ხალხის იმ საამაყო შვილთა შორის, რომელთაც გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ომში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ, კომკავშირის ასაკის ახალგაზრდები თითქმის ნახევარს შეადგენენ. ეს ახალგაზრდები მცირე გამონაკლისით, კომკავშირის წევრები, კომკავშირის აღზრდილები არიან.

ათეულ ათასობით ქართველი ახალგაზრდა მეომარი საბჭოთა კავშირის საბრძოლო ორდენებითა და მედლებით იქნა დაჯილდოებული. მრავალმა მათგანმა გმირულად შესწირა სიცოცხლე ჩვენი დიადი ქვეყნის თავისუფლებისა და ღირსების დაცვის საქმეს.

ომის წლებში შრომითი მამაცობის ბრწყინვალე მაგალითებს გვიჩვენებდნენ ზურგში დარჩენილი ახალგაზრდა ვაჟები და ქალები. წარმოებაში და საკოლმეურნეო მინდვრებში თავდადებული შრომით ისინი ზურგს უმაგრებდნენ ფრონტს და აახლოვებდნენ ვერაგ მტერზე გამარჯვებას.

ომი თვითეული ხალხის სულიერი და მატერიალური ძალების ყოველმხრივი გამოცდაა, გვასწავლის ლენინი. მაშასადამე, სამამულო ომი ჩვენი ახალგაზრდობის და მისი მებრძოლი კომკავშირული ორგანიზაციის გამოცდაც იყო. მთელმა საბჭოთა ახალგაზრდობამ, ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა ეს გამოცდა ბრწყინვალედ დაიჭირა; ბრწყინვალედ ჩააბარა იგი ქართველმა ახალგაზრდობამ და მისმა კომკავშირულმა ორგანიზაციამაც (**ტაში**).

ასეთი სასახელო ახალგაზრდა თაობის აღზრდა შესაძლებელი იყო მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში, მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და მშრომელ მასებს შექმნილი აქვთ კულტურული და მატერიალური აღმავლობის ყველა პირობა.

მაღალი მორალური თვისებები, რომლებიც ახასიათებს ჩვენს ახალგაზრდობას, შედეგია იმისა, რომ ახალი თაობის აღზრდას შეუნელებელი მზრუნველობით ევყრობიან ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი, ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი (**მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან**).

ისტორიას არ ახსოვს სხვა ისეთი ბედნიერი თაობა, როგორიც საბჭოთა ახალგაზრდობაა: იგი თავისუფალია ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან, მას გახსნილი აქვს სწავლისა და შემოქმედების ფართო გზა. ჩვენი ახალგაზრდა თაობის ყველაზე დიდი ბედნიერება კი ის არის, რომ იგი დაიბადა, იზრდება და ვაჟკაცდება სოციალიზმის ცხოველმყოფელი მზის ქვეშ, რომ მას წილად ხვდა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საკუთარი ხელით აშენოს კომუნიზმის დიადი შენობა კაცობრიობის ნამდვილი ისტორიის შემოქმედის დიდი სტალინის წინამძღოლობით.

საქართველოს კომკავშირის ყრილობაზე არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ის უდიდესი ღვაწლი, რომელიც დასდო კერძოდ ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს დიდი სტალინის ერთგულმა მოწაფემ, ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ (**მქუხარე ტაში**). საკმარისია ითქვას, რომ ახალგაზრდობის ის თაობა, რომელმაც ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიაში, ძირითადად აღიზარდა სწორედ იმ წლებში, როცა ამხანაგი ბერია საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა.

საქართველოს კომკავშირის მე-16 ყრილობა 1945 წლის თებერვალში, ე. ი. ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომის დამთავრებამდე სამი თვით ადრე ჩატარდა. არსებითად თქვენ დღეს აჯამებთ საქართველოს კომკავშირის მუშაობას ომისშემდგომ პერიოდში. ეს პერიოდი კი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

დიდი სამამულო ომიდან ჩვენი ქვეყანა, მიუხედავად მრავალი მსხვერპლისა, კიდევ უფრო განმტკიცებული გამოვიდა. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას ომით მოყენებული ზიანის გამოსასწორებლად. ჩვენმა ხალხმა ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით დასახა ომისშემდგომი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის გრანდიოზული გეგმა, რომელიც კომუნიზმის მშენებლობის გაშლილ პროგრამას წარმოადგენს.

სამი წელიწადია საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს ახალ ხუთწლიან გეგმას. უკვე მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია ომისწინადროინდელი მაჩვენებლები სამრეწველო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებში. ახლა ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ ხუთწლიანი გეგმა ვადაზე გაცილებით ადრე იქნება შესრულებული.

როგორც მთლიანად საბჭოთა ქვეყანაში, ისე საქართველოშიც ომისშემდგომი მშენებლობის პროგრამა გადაჭარბებით სრულდება. საქართველოს მრეწველობამ და ქალაქების მოსახლეობამ უკვე მიიღეს დენი ხრამჰესიდან, სოხუმჰესიდან. ამ ჰიდროელექტროსადგურების ამუშავებით თითქმის ორკეცდება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზის სიმძლავრე. ეს არის საქართველოს პარტიული ორგანიზაციების და ქართველი ხალხის ომისშემდგომი სამეურნეო მუშაობის ერთ-ერთი დიდად მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი.

დღითიდღე იზრდებიან ჩვენი მშენებლობის ახალი მძლავრი კერები — რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელთა დამთავრების შემდეგ საქართველოს ინდუსტრიის ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება ერთისამად გადიდდება.

ყველა თქვენგანმა იცის, თუ რა თავდადებით იბრძვიან ქართველი კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ჩვენი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. ომისშემდგომ წლებში არ ყოფილა შემთხვევა, რომ საბჭოთა მთავრობის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხანაგ სტალინის რომელიმე დავალება სოფლის მეურნეობის ხაზით საქართველოში გადაჭარბებით არ შესრულებულიყოს (**ტაში**).

დიდია ახალგაზრდობის როლი და ადგილი ამ გრანდიოზულ სამეურნეო მუშაობაში. მე ზედმეტად მიმაჩნია შევჩერდე მრავალ მაგალითზე, რომლებიც ჩვენი მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობის შრომით მამაცობაზე მეტყველებენ. ამხ. ზოდელავას მოხსენებაში და დელეგატების გამოსვლებში საქმის ეს მხარე ფართოდ იყო გაშუქებული. მარტო ის, რომ გასულ წელს საქართველოს კოლმეურნეობებში მაღალი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდებით დაჯილდოებულთა შორის ერთ მეხუთედს ახალგაზრდა კოლმეურნე ქალები და ვაჟები შეადგენენ, მეტყველებს ჩვენი სოფლის ახალგაზრდობის მაღალ კომუნისტურ თვითშეგნებაზე და მის თავდადებულ ბრძოლაზე სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისა და ხელმძღვანელობის საქმეში, ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არ არის სერიოზული ნაკლოვანებები. სამწუხაროდ, ნაკლი ჯერ კიდევ ბევრია. ყრილობის ამოცანაა უპირველეს ყოვლისა სწორედ ნაკლოვანებების, მათი გამომწვევი მიზეზების გამომჟღავნება და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ღონისძიებათა დასახვა. მოკლედ რომ ვთქვათ, საჭიროა ბოლშევიკური კრიტიკის მძლავრი იარაღის ფართოდ გამოყენება იმისათვის, რომ კომკავშირმა მომავალში უკეთ იმუშაოს, უკეთ შეასრულოს პარტიის მიერ მიცემული ყოველი დავალება.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ამხანაგი სტალინი კომკავშირისაგან მოითხოვს:

„წარმატებით შეასრულოს მოზარდი თაობის ლენინის პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით აღზრდის ამოცანა, დაეხმაროს ახალგაზრდობას მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა დაუფლებაში, აამოძრაოს ნორჩ პატრიოტთა ძალები ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის საბრძოლველად".

დიდი ბელადის ამ სიტყვებში მოცემულია კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მთელი პროგრამა. მე მინდა შევეხო საქართველოს კომკავ-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

საქართველოს კომკავშირის ზოგიერთი მორიგი ამოცანის შესახებ

ამხ. კ. ჩარკვიანის სიტყვა საქართველოს ალკკ XVII ყრილობაზე 1948 წლის 27 დეკემბერს

(გაგრძელება)

შორის ზოგიერთ მორიგ პრაქტიკულ ამოცანას, რომელიც ბელადის ამ მითითებებიდან გამომდინარეობს.

საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციის პირველი და მთავარი ამოცანაა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ძირეულად გაუმჯობესება და გაძლიერება როგორც თავის წევრთა შორის, ისე მთელ ახალგაზრდობაში. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ მთელი მოზარდი თაობა ბავშვობიდანვე კომუნისტური იდეოლოგიის პრინციპებზე იზრდებოდეს. კომკავშირმა თავისი გავლენით უნდა მოიცვას საბჭოთა ახალგაზრდობის ყველა ფენა. ადგილი არ უნდა ექნეს ახალგაზრდობის სულ მცირე ნაწილშიც კი უიდეობის, აპოლიტიკურობის ელემენტებს.

ახალგაზრდობაში და პირველ რიგში კომკავშირის წევრთა შორის იდეოლოგიური მუშაობის ძლიერი საშუალებაა მარქსისტულ-ლენინური სწავლების მოწყობაა. უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციებს მრავალი ნაკლი აქვთ. მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ კომკავშირის პოლიტიკური სკოლები და წრეები.

აქ მომხსენებელმა აღნიშნა, წრეებსა და პოლიტსკოლებში 42 ათასამდე კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდაა ჩაბმულიო. თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოში 250 ათასზე მეტი მარტო კომკავშირელია, ეს რიცხვი მცირედ უნდა ჩავთვალოთ, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ წრეების გარეთ დარჩენილი ყველა კომკავშირელი დამოუკიდებლად მუშაობდეს თავის თავზე.

მთავარი ნაკლი პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობისა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრ მათგანში მეცადინეობა უსიცოცხლოდ და მოსაწყენად მიმდინარეობს. ამის მიზეზი მეტწილად პროპაგანდისტების სისუსტე და გამოუცდელობაა.

საჭიროა წრეების ქსელის გაფართოება და მათი მუშაობის ხარისხის ამაღლება. მარტო კომკავშირი თავისი ძალებით ამ საქმეს ვერ გაუძლვება. პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ კომკავშირს პოლიტსწავლების მოწყობის საქმეში. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გამოჰყონ მომზადებული კომუნისტები კომკავშირული წრეების ხელმძღვანელებად და დაეხმარონ კომკავშირს იმ პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ პოლიტსაგანმანათლებლო ქსელის მუშაობისათვის. მე აქ მხედველობაში მაქვს ლიტერატურის გამოყოფა, სამეცადინო ბინების მიჩენა, სინათლით, გათბობით უზრუნველყოფა და სხვ.

რასაკვირველია, ახალგაზრდობის აღზრდისათვის პარტიული ორგანოების ზრუნვა ამით არ უნდა ამოიწურებოდეს. საჭიროა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ხშირად ხვდებოდნენ ახალგაზრდობას, გამოდიოდნენ მის კრებებზე მოხსენებებით, აწყობდნენ მასთან საუბრებს. დღემდე კი ჩვენი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები ძალიან ცოტას აკეთებენ ამ მიმართულებით. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ თბილისის პარტრაიკომების მაგალითი. ლენინის, მოლოტოვის, ბერიას და ორჯონიკიძის რაიონებში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პარტრაიკომების პირველი მდივნები მხოლოდ ერთხელ გამოვიდნენ მოხსენებებით კომკავშირის რაიაქტივებზე და ისიც ცენტრალური კომიტეტის მითითებით კომკავშირის 30 წლისთავთან დაკავშირებით. თუ თბილისში ასეთი მდგომარეობაა, ადვილი წარმოსადგენია, როგორ იქნება დაყენებული ეს საქმე სასოფლო რაიონებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიიღებს ზომებს იმისათვის, რომ სავრძნობლად გაძლიერდეს პარტიული ორგანიზაციების დახმარება კომკავშირისადმი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ თვითეული პარტიული ხელმძღვანელი, რა პოსტიც უნდა ეჭიროს მას, გრძნობდეს პასუხისმგებლობას ახალგაზრდობის — ჩვენი ამ მომავლისა და იმედის კომუნისტურად აღზრდისათვის (ტაში).

კომკავშირის მუშაკებმა ეს, რასაკვირველია, არ უნდა გაიგონ ისე, თითქოს მათ მომავალში ნაკლები მუშაობა მოეთხოვებათ. პირიქით, რამდენად უფრო მეტი იქნება დახმარება პარტიული ორგანიზაციების მხრივ, იმდენად მეტი მოთხოვნილება წარედგინება კომკავშირულ ორგანოებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირის ხელმძღვანელი აქტივის პოლიტიკური მომზადების დონის სისტემატური ამაღლების საქმეს. ეს მთავარი პირობაა კომკავშირის მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად და იმისათვის, რომ კომკავშირული ორგანიზაციები ნამდვილად მიუძღოდნენ წინ ჩვენს ახალგაზრდობას.

ახალი თაობის მომზადებასა და აღზრდაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სკოლა. ბოლშევიკური პარტიის ფუძემდებელი ლენინი გვასწავლის:

„კომუნისტი შეიძლება გახდე მხოლოდ მაშინ, როცა გაამდიდრებ შენს გონებას ყველა იმ სიმდიდრეთა ცოდნით, რომლებიც კაცობრიობამ შეიმუშავა“.

ამ სიმდიდრის ათვისება კი ძირითადად მხოლოდ სკოლაში შეიძლება. სწორედ ამიტომ ჩვენი პარტია და მთავრობა დიდი ყურადღებით ეპყრობიან სკოლის მუშაობას და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების დიდ ნაწილს სახალხო განათლებას ახმარებენ.

ჩვენი საშუალო და უმაღლესი სკოლის დანიშნულებაა აღზარდოს კომუნიზმის შეგნებული და ამავე დროს თეორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის საფუძვლიანად მომზადებული მშენებლები. უეჭველია, ჩვენი საბჭოთა სკოლა ძირითადად ამართლებს ამ დანიშნულებას. პარტიის მზრუნველობის წყალობით სკოლის მუშაობის ხარისხი უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე შეუდარებლად ამაღლდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სკოლა თავისუფალია ყოველგვარი ნაკლისაგან. როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სკოლის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი და ჩამორჩენაა. განათლების ორგანოებმა კომკავშირის ორგანიზაციების დახმარებით მთელი თავისი მუშაობა უნდა წარმართონ საბჭოთა სკოლის კიდევ უფრო სრულყოფისათვის.

თქვენ იცით, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ჩვენი მთავრობა მუდმივად ზრუნავენ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაობის უკეთ დაყენებისათვის. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ქართული საბჭოთა სკოლა ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით. სკოლას ჰყავს მომზადებული მასწავლებელთა კადრები. ყოველწლიურად შენდება ახალი და ახალი სასკოლო შენობები. ყველაფერი ეს ხელს უწყობს ჩვენი სკოლის მუშაობის ხარისხის ამაღლებას. მაგრამ, განა შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ამ მიღწევებით? რასაკვირველია, არა. ჩვენი სკოლის მუშაობა შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს.

საშუალო სკოლამ ახალგაზრდობას საფუძვლიანი ცოდნა უნდა მისცეს ძირითად საგანმანათლებლო დისციპლინებში. ყოველმა ახალგაზრდამ საშუალო სკოლაში უნდა მონახოს, ასე ვთქვათ, თავისი მოწოდება, ე. ი. აირჩიოს მომავალი პროფესია. ეს აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ უმაღლეს სასწავლებლებს გონებრივად მომწიფებული და სწავლით დაინტერესებული კონტინგენტი მივცეთ. ასეთი შედეგის მიღწევა შეიძლება მხოლოდ სკოლისა და კომკავშირის შეთანხმებული აღმზრდელობითი მუშაობით.

სკოლის მუშაობის არცერთი მხარე კომკავშირის ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს. ხოლო თვით მოსწავლეთა შორის მუშაობას განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს კომკავშირის საქმიანობაში. კომკავშირის სასკოლო პირველადმა ორგანიზაციებმა და მოსწავლე კომკავშირელებმა მთელი თავისი მუშაობა სასწავლო პროცესს უნდა შეუფარდონ. მათი მოვალეობაა ხელი შეუწყონ პედაგოგებს კლასში მტკიცე დისციპლინის დამყარებაში, აამაღლონ მასწავლებლის ავტორიტეტი.

კომკავშირმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ შეითვისოს შრომის კულტურა, რაც პირველ ყოვლისა გულისხმობს დროის წესიერად და ნაყოფიერად გამოყენებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმის სხვალისთვის გადადება, რაც ზოგიერთ ჩვენს მუშაკს სჩვევია, მეტწილად სკოლიდან გამოყოლილი თვისებაა: ვინც სკოლაში შეიგნებს, თუ რა დიდი ღირებულება აქვს დროს და მიეჩვევა სისტემატურ მუშაობას, ის ცხოვრებაშიც თანმიმდევარი და მუყაითი იქნება.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კომკავშირის ორგანიზაციებს დიდი ზომიერება მართებთ მოსწავლეთა შინასაკავშირო და საზოგადოებრივი მოვალეობით დატვირთვის საქმეში. დღემდე კი ხშირია მოსწავლეების საზოგადოებრივი მუშაობით გადატვირთვის შემთხვევები. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ვარდება ამ მხრივ კომკავშირის სასკოლო აქტივი.

ზოგჯერ კომკავშირის კომიტეტები და განათლების ორგანოები იმისათვის, რომ თავი გამოიჩინონ საბავშვო ოლიმპიადებზე თუ სხვა შეჯიბრებებზე, მეცადინეობას სწყვეტენ მოსწავლეებს. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს.

თბილისის ქალთა მე-12 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ კომკავშირელმა ლამარა თუთაშვილმა გასულ სასწავლო წელს 233 საათი გააცდინა. წლის ბოლოს მან თითქმის ყველა ძირითად საგანში ორიანები მიიღო. თითქოს ეს მოსწავლე იმავე კლასში უნდა დაეტოვებინათ, მაგრამ საქმე სხვანაირად განსაჯა სტალინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ფერაძემ. მან თბილისის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებას მისწერა:

„ლამარა ერმილეს ასული თუთაშვილი წლის განმავლობაში იყო ხანგრძლივად ავადმყოფი, ხოლო სკოლაში სწავლასთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა ოლიმპიადაში, რის გამო მოხდა სწავლაში მისი ჩამორჩენა. განათლების განყოფილება გთხოვთ გამონაკლისის სახით დართოთ ნება საშემოდგომო გამოცდებზე ყველა საგნების ჩაბარების“.

მართალია, განათლების განყოფილების გამგისათვის ასეთი გაუმართავი ენით დაწერილ მიმართვაზე ხელის მოწერა ცოტა არ იყოს უხერხულია, მაგრამ წერილიდან მაინც შეიძლება გავიგოთ, რომ მოსწავლე თუთაშვილის ჩამორჩენის მიზეზი ავადმყოფობა კი არა, უფრო ოლიმპიადაში მონაწილეობა ყოფილა. თურმე მოსწავლე თუთაშვილი კარგი მეჩონგურეა, იგი გააცდინეს და ჩამოარჩინეს სკოლის ხელმძღვანელებმა და განათლების განყოფილების მუშაკებმა. ამიტომ არის, რომ ამხ. ფერაძე ასე ცდილობდა თუთაშვილი შემდეგ კლასში გადასულიყო. ასეთივე „მზრუნველობა“ გამოიჩინა ამხ. ფერაძემ ამ სკოლის მეორე მოსწავლის დონარა ბუთხუზის მიმართ, რომელიც აგრეთვე საბავშვო ოლიმპიადისათვის მზადებით გადატვირთეს და სწავლაში ჩამოარჩინეს.

რასაკვირველია, ამგვარი მოვლენები სკოლაში დასაშვები არ არის. ოლიმპიადებში მონაწილეობისათვის მზადება ისე უნდა ჩატარდეს, რომ ბავშვები არ გაცდნენ სწავლაში და გონებრივად და ფიზიკურად არ გადაიტვირთონ.

სრულიად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ დღემდე ზოგიერთი სკოლის დირექტორი და კლასის ხელმძღვანელი არ აწესრიგებენ და არ წარმართავენ მოსწავლეთა საზოგადოებრივ და სკოლისგარეშე მუშაობას.

ჩვენ უნდა მოვთხოვოთ სკოლების ხელმძღვანელებს აღკვეთონ ყოველგვარი დარღვევა სკოლაში მასობრივ ღონისძიებათა გატარების საქმეში. ვფიქრობ, კომკავშირის ორგანიზაციები საკითხის ასე დაყენებას მათი უფლებების შელახვად არ მიიღებენ. აქაც კომკავშირისა და სკოლის ადმინისტრაციულ-პედაგოგიური ხელმძღვანელობის მუშაობა შეთანხმებული და ერთი მიზნისაკენ მიმართული უნდა იყოს.

საჭიროდ მიმაჩნია თქვენი ყურადღება მივაქციო ჩვენი სკოლის მუშაობის კიდევ ერთ ძირითად საკითხს. ეს არის რუსული ენის შესწავლის საკითხი. განუზომლად დიდია რუსული ენის მნიშვნელობა მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთათვის. რუსული ენა წარმოადგენს საბჭოთა ხალხების ურთიერთობისა და კავშირის მძლავრ იარაღს. რუსული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი ენაა. რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურა მოიცავს კაცობრიობის კულტურის ყველა დარგს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსული ენის დაუხმარებლად ჩვენს დროში შეუძლებელია რომელიმე სამეცნიერო დისციპლინის საჭირო სიღრმით შესწავლა და ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობის წარმოება, შეუძლებელია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე — საბჭოთა კულტურის და საერთოდ კაცობრიობის კულტურის მიღწევათა შეთვისება.

ქართული საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების და საერთოდ კულტურის ყველა დარგის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვენ, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ ისევე ზედმიწევნით იცოდეს რუსული ენა, როგორც ქართული. ამის საჭიროება არათუ ახლა, წინათაც კარგად ჰქონდა შეგნებული ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ფენას, რომლისთვისაც რუსული ენა XVIII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ნამდვილად იყო მეორე დედაენა, ისევე საყვარელი და ძვირფასი, როგორც მშობლიური ენა.

დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში წერდა:

„რუსული ენის ცოდნა უდიდესი სიკეთეა ყველა კავკასიელისათვის, რადგან იგი აძლევს მას საშუალებას ეზიაროს მდიდარ რუსულ ლიტერატურას და ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხეში ისე გრძნობდეს თავს, როგორც საკუთარ სახლში“.

რუსული ენისა, რუსული ლიტერატურისა და მეცნიერებისადმი ნამდვილ ჰიმნს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის შემდეგი სიტყვები:

„თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზედმოქმედება იქონია მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა... რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰყვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“.

მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის რუსულ ენას ახლა, როცა ქართველმა ხალხმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა თავისი სახელმწიფო და მოიპოვა თავისი კულტურის განვითარების ყველა პირობა.

რუსული ენის შესწავლის გაუმჯობესება მუდამ იყო საქართველოს ბოლშევიკებისა და სახელმწიფო ორგანოების ზრუნვის საგანი. ჯერ კიდევ 1938 წელს ამხანაგ ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური ღონისძიებები შეიმუშავა არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაძლიერებისათვის. მთავარი ყურადღება მიექცა რუსული ენის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების მომზადებას, როგორც საგნის სწავლების გაუმჯობესების ძირითად პირობას. სახელმწიფო უნივერსიტეტში, პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტებში შეიქმნა სპეციალური განყოფილებები რუსული ენის მასწავლებელთა მოსამზადებლად. ამ ღონისძიებებს შედეგად მოჰყვა რუსული ენის სწავლების ხარისხის საგრძნობი ამაღლება.

მაგრამ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობას ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენი ახალგაზრდების საგრძნობი ნაწილი მაინც ვერ ახერხებს რუსულ ენაზე თავისუფლად საუბარს და ბევრ მათგანს უჭირს რუსული ლიტერატურით სარგებლობა.

საჭირო იყო შემდეგი ნაბიჯების გადადგმა რუსული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად. გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ათწლიანი საშუალო სკოლის სასწავლო გეგმით შეუძლებელია რუსული ენის შესასწავლად საკმაო საათების გამოყოფა. სწორედ ეს გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ საშუალო სკოლაში სწავლების თერთმეტწლიანი კურსი შემოგვეღო. თუ ათწლიან სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის შესწავლას მთელი კურსის განმავლობაში 1.518 საათი ეთმობოდა, თერთმეტწლიან სკოლაში ჩვენ უკვე საშუალება მოგვეცა რუსული ენისათვის დაგვეთმო 2.112 საათი, ე. ი. 594 საათით მეტი. ახლა უკვე ყოველდღიურად წარმოებს რუსული ენის სწავლება ყველა კლასში, დაწყებული მეორე კლასიდან. საგრძნობლად მეტი დრო და ყურადღება ეთმობა წერით სამუშაოებს, გაფართოვდა კლასგარეშე მუშაობა რუსული ენის შესასწავლად.

მიმდინარე წელს შესდგა თერთმეტწლიანი საშუალო სკოლის მეორე გამოშვება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდებმა, რომლებმაც წელს დაამთავრეს საშუალო სკოლის კურსი, გაცილებით უკეთ იციან რუსული ენა. სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე მოსწავლეების დიდმა ნაწილმა რუსულ ენასა და წერით სამუშაოებში მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება, რაც წინათ იშვიათი შემთხვევა იყო.

საგამოცდო წერითი სამუშაოების ანალიზი გვიჩვენებს საგრძნობ წინსვლას. ბევრ მოსწავლეს, განსაკუთრებით იმათგან, ვინც ოქროსა და ვერცხლის მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, წერით სამუშაოში არ დაუშვია უხეში ორთოგრაფიული და სტილისტური შეცდომები და საკმაოდ კარგად მოუფიქრებია მიცემული თემა.

სასიხარულოა, რომ ასეთი მოსწავლეები გვხვდებიან არა მარტო თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სხვა დიდი ქალაქების სკოლებში, არამედ რაიონული ცენტრებისა და სოფლის საშუალო სკოლებშიც. მაგალითად, ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ თინათინ მჭედლიშვილის საგამოცდო ნამუშევარში ფადეევის წიგნის „ახალგაზრდა გვარდიის“ ნაწყვეტის მიხედვით, მხოლოდ ერთი ორთოგრაფიული შეცდომაა დაშვებული. ნამუშევარი შინაარსის მხრივაც დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს აგრეთვე ხონის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის კარლო წკირიას წერითი სამუშაო მაქსიმ გორკის რომანის „დედის“ მიხედვით, სუფსის საშუალო სკოლის მოწაფის თამაზ სარიშვილის წერითი სამუშაო გორკის მოთხრობის „მოხუცი იზერგილის“ მიხედვით და ბევრი სხვა მოწაფის ნამუშევარი.

ჩვენი ამოცანაა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ რუსული ენის სწავლება ქართულ სკოლაში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არა მარტო მედალოსნებმა, არამედ ყველა ახალგაზრდამ, რომელიც კი ამთავრებს საშუალო სკოლას, დამაკმაყოფილებლად იცოდეს რუსული ენა.

საგნის შესწავლა, როგორც ვიცით, დამოკიდებულია პირველ ყოვლისა მასწავლებლის კვალიფიკაციაზე და იმაზე, თუ რამდენად გულმოდგინედ ეკიდება ის თავის სამუშაოს. ბავშვმა თავიდანვე უნდა შეიყვაროს რუსული ენა, ამის მიღწევა კი მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის და კარგი პედაგოგიური ალღოს მქონე მასწავლებელს შეუძლია. ჩვენს სკოლებში ბევრია რუსული ენის კარგი მასწავლებელი, რომლებიც თავდადებულად ემსახურებიან მათ მიერ არჩეულ საქმეს. ამავე დროს კადრების სიმცირის გამო განათლების ორგანოები იძულებულნი არიან რუსული ენის მასწავლებლებად გამოიყენონ არასაკმაო ცენზის მქონე პედაგოგებიც.

ჩვენ მივიღეთ გადამჭრელი ზომები რუსული ენის მასწავლებელთა მოსამზადებლად. უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების სპეციალურ ფაკულტეტებზე გავადიდეთ სტუდენტთა რიცხვი და ახლა ამ უმაღლეს სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობას იღებს 1860 სტუდენტი. ამას გარდა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთებულ იქნა სპეციალურ ინსტიტუტად, რომელიც მხოლოდ რუსული ენის მასწავლებლებს ამზადებს. ეს ინსტიტუტი 1950 წლიდან ყოველწლიურად რუსული ენის 300 კვალიფიციურ მასწავლებელს გამოუშვებს.

როგორც ხედავთ, ხელისუფლება არ ზოგავს საშუალებებს რუსული ენის სწავლების ძირფესვიანად გაუმჯობესებისათვის. კომკავშირის ორგანიზაციებმა მხარი უნდა დაუჭირონ ამ ღონისძიებათა გატარებას. კომკავშირი უნდა დაგვეხმაროს პუშკინის სახელობის ინსტიტუტისა და სხვა უმაღლესი სკოლების სპეციალური ფაკულტეტების საუკეთესო ახალგაზრდობით დაკომპლექტებაში და ისე დააყენოს თავისი მუშაობა უმაღლეს სკოლებში, რომ უახლოეს ხანში ჩვენ მთლიანად უზრუნველვყოთ ქართული საშუალო სკოლა რუსული ენის მასწავლებელთა დახელოვნებული და თავისი საქმის მოყვარული კადრებით.

თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლის მნიშვნელობა მარტო რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებით არ ამოიწურება. ამ ღონისძიებამ ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ჩვენი საშუალო სკოლის მთელი სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობა. საგრძნობლად გაუმჯობესდა საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნების სწავლება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტექნიკური ინტელიგენციის ახალი კადრების მომზადებისათვის. დამახასიათებელია, რომ თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლამდე საშუალო სკოლას ამთავრებდა საქართველოში მეათეკლასელთა დაახლოებით 70-75 პროცენტი, რეფორმის შემდეგ, 1947 წელს კი საშუალო სკოლის კურსი დაამთავრა მეთერთმეტეკლასელთა 91,5 პროცენტმა, ხოლო 1948 წელს — 93,3 პროცენტმა.

1945 წელს საშუალო სკოლა ოქროს და ვერცხლის მედალზე დაამთავრა 320 მოსწავლემ, წელს კი — 718 მოსწავლემ.

ეს რამდენიმე ცნობა მოწმობს, რომ ქართული საბჭოთა სკოლა აღმავლობის გზით მიდის. კომკავშირის ორგანიზაციებმა სასკოლო მუშაობის საკითხებისადმი მოფიქრებული და მზრუნველი დამოკიდებულებით ხელი უნდა შეუწყონ ჩვენი სკოლის შემდგომ წინსვლას.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველგვარი პირობები შექმნა საქართველოში მეცნიერების სწრაფი განვითარებისათვის. უკვე რვა წელიწადია ჩვენში არსებობს მეცნიერებათა აკადემია მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებით, სადგურებითა და სხვა მეცნიერული დაწესებულებებით. მარტო ეს ფაქტი საკმარისად მოწმობს ქართული მეცნიერების აყვავებას. მაგრამ ჩვენ არ ვფარავთ, რომ მეცნიერების ცალკე დარგებში მაინც გვაქვს სერიოზული ჩამორჩენა. კერძოდ კი აუცილებელია ჩვენში მეტი მუშაობა წარმოებდეს ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებისათვის. თქვენ იცით, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ ამ მიმართულებით.

მეცნიერების ამა თუ იმ დარგის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სათანადო კადრების მომზადებას. საუკეთესოდ მოწყობილი ლაბორატორიები და სამეცნიერო დაწესებულებები უქმად დარჩებიან, თუ არ იქნა მაღალკვალიფიციური და ნიჭიერი კადრები, რომლებიც ამ ტექნიკურ ბაზას გამოიყენებენ. სათანადო აღმზრდელობითი მუშაობით კომკავშირმა უნდა უზრუნველყოს ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის ყურადღების შემობრუნება ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დაუფლებისადმი.

დასაფარავი არ არის, რომ დღემდე ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა მეტ გატაცებას იჩენს ჰუმანიტარული დისციპლინებისა და მედიცინის შესწავლით. საქმე იქამდე მივიდა, რომ თითქმის ყველა, ვინც ოქროს მედალზე ამთავრებდა საშუალო სკოლას, სამედიცინო ინსტიტუტებში შესვლას ცდილობდა. ამის გამო ჩვენ იძულებული გავხდით შეგვემცირებინა სამედიცინო ინსტიტუტებში მისაღები კონტინგენტი და ამავე დროს მისაღები ადგილები რაიონების მიხედვით გაგვენაწილებინა. შემდგომში კი სტომატოლოგიური და ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტები შევუერთეთ სამედიცინო ინსტიტუტს და ამ უკანასკნელში ყოველწლიური მიღება 250-300 კაცით განვსაზღვრეთ. ეს მოვლენა მოწმობს, რომ ჩვენს საშუალო სკოლას აქვს ერთი მეტად სუსტი მხარე: მის კედლებში საუკეთესო მოსწავლეთა დიდი ნაწილიც კი ვერ ასწრებს შეიყვაროს რომელიმე საგანი და აირჩიოს მომავალი პროფესია. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ, ცხადია, ყველა ოქროსმედალოსანი ექიმად გახდომას არ მოინდომებდა. როგორც ჩანს, აქ უფრო მეტ როლს თამაშობს ოჯახის გავლენა და ერთგვარი „საზოგადოებრივი“, მე ვიტყოდი, მეტად მავნე, ტრადიცია. ექიმები ამდენი რაოდენობით ჩვენ არ გვესაჭიროება. დღეისათვის საქართველოში 8.500-ზე მეტი ექიმი ითვლება, აქედან არ მუშაობს 740 ექიმი. საგულისხმოა, რომ მიმდინარე წლის გამოშვებიდან საგზური არ მიიღო ან დანიშნულების ადგილზე არ გამოცხადდა 400-ზე მეტი ახალგაზრდა ექიმი. განა ეს მოსათმენია ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც ყველაფერი სახელმწიფო გეგმის მიხედვით კეთდება?

ამავე დროს ჩვენ განვიცდით სხვადასხვა სპეციალობის ინჟინრების, აგრონომების ნაკლებობას. კიდევ უფრო საგრძნობია მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების ნაკლებობა ფიზიკაში, ქიმიაში და ზოგიერთ სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინაში.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმდინარე წელს დასახა ფართო ღონისძიებანი საქართველოში ტექნიკურ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელება მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობაში უფრო გაღვივდება ინტერესი ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლისადმი. სკოლამ და კომკავშირის ორგანიზაციებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ამ საქმეში.

საჭიროა სკოლებში მათემატიკური, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური წრეების ქსელის გაშლა. მოსწავლეები ფართოდ უნდა ჩავაბათ ტექნიკური სადგურების მუშაობაში და გავადიდოთ ამ სადგურების რაოდენობა, გავშალოთ ნორჩ მიჩურინელთა მოძრაობა და გავაცხოველოთ ახალგაზრდობაში მიჩურინული აგრობიოლოგიის პროპაგანდა და შესწავლა.

მოსწავლეთა შორის ტექნიკური პროპაგანდის მთავარ კერას თბილისში უნდა წარმოადგენდეს ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე. სამწუხაროდ, სასახლის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებს ტექნიკური პროპაგანდის მნიშვნელობას. დამახასიათებელია, რომ პიონერთა სასახლესთან არსებული წრეების მონაწილე 6.120 მოსწავლიდან ტექნიკის წრეებში მხოლოდ 730 კაცი ირიცხება. სასახლესთან არსებული მექანიკური სახელოსნო და ლაბორატორიები მოუწყობელია. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს და თბილისის კომიტეტს სასახლის მუშაობის ამ მხარისათვის მეტი ყურადღება რომ მიექციათ, ცხადია, მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

ჩემი აზრით, ყრილობამ უნდა მოსთხოვოს კომკავშირის ორგანიზაციებს და განათლების ორგანოებს ძირფესვიანად გარდაქმნან მოსწავლე ახალგაზრდობაში ტექნიკური პროპაგანდის საქმე და მიაღწიონ სათანადო გარდატეხას ამ მიმართულებით.

ჩვენი ყოველდღიური მზრუნველობის საგანი უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ხარისხის სისტემატური გაუმჯობესება. საჭიროა მივიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ უმაღლესი სკოლები უზრუნველყოფილ იქნან ლაბორატორიებით, მეცნიერული ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით, მაღალკვალიფიციური მეცნიერულ-პედაგოგიური კადრებით. კომკავშირის ორგანიზაციების მოვალეობაა ფართოდ გაშალონ აღმზრდელობითი მუშაობა ჩვენს სტუდენტობაში. კომკავშირელები მაგალითს უნდა უჩვენებდნენ დანარჩენ ახალგაზრდებს მეცნიერების დაუფლების საქმეში. ისინი წამყვან ძალას უნდა წარმოადგენდნენ სტუდენტთა მეცნიერულ წრეებში, რომლებიც უნერგავენ სტუდენტებს დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის ჩვევებს.

ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი აყვავებული მრეწველობა და მზარდი მეცნიერება ბევრი ისეთი სპეციალობის მუშაკებს მოითხოვენ, რომელთა მომზადება საქართველოში ჯერჯერობით შეუძლებელია. ამიტომაც საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი უმაღლესი განათლების მისაღებად მიემგზავრებოდეს ყოველწლიურად მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სკოლებში. უმაღლესი განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით წელს ჩვენ ორგანიზებულად გავგზავნეთ ასზე მეტი ახალგაზრდა დედაქალაქის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში და ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში. ეს სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით. მომავალში ამ წესით ყოველწლიურად 250-300 ახალგაზრდა მაინც უნდა გაიგზავნოს.

ამავე დროს უფრო ფართო ხასიათი უნდა მიეცეს მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სკოლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების მივლინებას მათი მომზადების შემდგომი სრულყოფისათვის.

ეს ორიოდე შენიშვნა ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს ჩვენ საჭიროდ არ ვთვლიდეთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შემდგომ განვითარებას. პირიქით, ამ დარგებშიც ბევრი რამ არის გასაკეთებელი და ჩვენ საჭირო ღონისძიებებს ამ მიმართულებითაც ვატარებთ. ხოლო თუ დღეს თქვენს ყურადღებას უმთავრესად ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების საკითხებზე ვაჩერებ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, ტექნიკური მეცნიერებანი სხვა

(დასასრული მესამე გვერდზე)

ამხ. ქ. ჩარკვიანის სიტყვის დასასრული

დარგებთან შედარებით უკან დგანან და მათი წამოწევა გადაუდებელი ამოცანაა.

რამდენიმე სიტყვა საქართველოს ინდუსტრიისათვის ახალი კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების შესახებ.

მარტო რუსთავის მეტალურგიულ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებს მალე ათეულ ათასობით მუშა დასჭირდებათ. კვალიფიციური მუშახელი საჭიროა ქვანახშირისა და მარგანეცის მალაროებისათვის და ჩვენი მრავალფეროვანი ინდუსტრიის სხვა დარგებისათვის. მთელი ჩვენი მრეწველობის წინსვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად მოვამზადებთ კვალიფიციურ მუშათა კადრებს ადგილობრივი მოსახლეობიდან.

კვალიფიციური მუშების ახალი კადრების მომზადების მთავარი კერებია შრომითი რეზერვების სისტემის სახელოსნო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, რომლებიც ყოველწლიურად ათასობით ახალგაზრდა კვალიფიციურ მუშას უშვებენ. მაგრამ ამ სასწავლებლებისა და სკოლების მუშაობას ძლიერ აფერხებს მათი დაკომპლექტების სიძნელე.

თქვენ იცით, რომ არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების ორგანოები ყოველწლიურად იწვევენ ახალგაზრდობის განსაზღვრულ რაოდენობას ამ სკოლებში. გაწვევა ძირითადად ხდება სოფლად, რადგან ქალაქის მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა ვერ აკმაყოფილებს მრეწველობის მოთხოვნილებას მუშახელზე. სოფლად კი სახელოსნო სასწავლებლებსა და საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში მისაღები კონტინგენტის შეგროვებაში დიდი სიძნელეები გვხვდება. არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ კომკავშირის ორგანიზაციებს იმის გამო, რომ ისინი საჭირო მუშაობას არ ეწევიან კოლმეურნე ახალგაზრდობაში და არ უღვივებენ მას ინტერესს ქარხნის მუშის კვალიფიკაციის მიღებისადმი.

კიდევ უარესი მდგომარეობა გვაქვს სახელოსნო სასწავლებლებისა და საქარხნო-საფაბრიკო სკოლების კურსდამთავრებულთა შენარჩუნების საქმეში მათი საწარმოებში გადაცემის შემდეგ. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში — 1946 წლიდან დღემდე — საწარმოებს გადაეცა 23.387 ახალგაზრდა მუშა, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ქარხნებიდან წავიდა.

ახალგაზრდა მუშების დენადობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მათ ყველა წარმოებაში როდი უქმნიან სათანადო სამუშაო პირობებს. კომკავშირის ორგანიზაციებს ამ ახალგაზრდებისათვის მეტი ყურადღება რომ მიექციათ, მიეღოთ ზომები მათი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, წარმოებიდან წასვლის შემთხვევები გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

საჭიროა კომკავშირის ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დავაყენოთ ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე.

ახალგაზრდა მუშების შესანარჩუნებლად აუცილებელია ძირეულად გავაუმჯობესოთ კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობა სახელოსნო სასწავლებლებსა და სკოლებში. საწარმოებში გადასული ახალგაზრდა მუშები უნდა გრძნობდნენ სპეციალურ მზრუნველობას პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების და, პირველ რიგში, კომკავშირის ორგანიზაციის მხრივ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ახალგაზრდა მუშებს შეუყვარდეთ წარმოება, თავიანთი პროფესია, ქალაქად ცხოვრება. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ ჩავაბამთ ამ ახალგაზრდობას სასპორტო წრეებში, გავაცნობთ კულტურულ დაწესებულებებს ექსკურსიების მოწყობით და სხვა საშუალებებით, ჩვეულებად გავუხდით თეატრში, კინოში სიარულს.

ახალგაზრდა მუშების საერთო საცხოვრებლები კარგად უნდა მოვაწყოთ, უზრუნველვყოთ ავეჯით, გასართობებით. უნდა ვაიძულოთ სამეურნეო მუშაკები ყველაფერი გააკეთონ ახალგაზრდა მუშების შესანარჩუნებლად.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომკავშირის მუშაობას ახალგაზრდა მუშათა კადრების შენარჩუნების საქმეში, ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მაგალითი. საქართველოს კომკავშირმა შეფობა აიღო მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდა მუშათა კადრებზე და ბევრი მისაბაძი ღონისძიება განახორციელა. ამის შედეგი ის არის, რომ ქარხნის უკვე მოქმედ საწარმოებში ახალგაზრდა მუშების მიერ სამუშაოსათვის თვითნებურად თავის დანებების შემთხვევები თითქმის არა გვაქვს.

მაგრამ იმის გამო, რომ ქარხნის ზოგიერთი საამქრო ჯერ კიდევ არ არის ექსპლოატაციაში გადაცემული, დირექცია იძულებული გახდა მოქმედი მეტალურგიული ქარხნებიდან დაბრუნებული მომზადებული მუშების საგრძნობი ნაწილი გრძელვადიან შვებულებაში გაეშვა. ეს ახალგაზრდები ახლა მეტწილად კოლმეურნეობებში მუშაობენ და უნდა დაუბრუნდნენ ქარხანას, როგორც კი სათანადო საამქროებს დავამთავრებთ. წარმოებისაგან ხანგრძლივმა მოწყვეტამ შეიძლება ზოგიერთ ახალგაზრდა მუშას გული აუცრუოს მიღებულ პროფესიაზე. ეს გაითვალისწინა კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა და გამოიჩინა მშვენიერი ინიციატივა: შვებულებაში მყოფ თვითეულ ახალგაზრდა მუშას მიმართა სპეციალური წერილით, რომელშიც გააცნო ქარხნისა და ქალაქ რუსთავის მშენებლობის მდგომარეობა.

საქალაქო კომიტეტის წერილებს ახალგაზრდა მუშები დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ.

„ძალიან სასიხარულო იყო ჩემთვის, როცა წავიკითხე თქვენ მიერ გამოგზავნილი მოგონების ბარათი, — წერს სამტრედიიდან შვებულებაში მყოფი მეტალურგი ყორა კობახიძე, — აღტაცებით გავიფიქრე: არ მივიწყებენ, მოვაგონდი რუსთავის მშენებელ ამხანაგებს-მეთქი. გული სიხარულით ამევსო, როცა გავიგე, რომ ჩემი ამხანაგები შრომითი მამაცობით აჩქარებენ მეტალურგიული გიგანტის და ახალი სოციალისტური ქალაქის რუსთავის მშენებლობას. ვიმედოვნებ, რომ ამ ხუთწლედში ამუშავდება ქარხნის საამქროები და მეც წილად მხვდება ჩავდგე რუსთავის ქარხნის მოწინავე მუშათა რიგებში“.

„თქვენმა წერილმა დიდად აღმაფრთოვანა, — ვკითხულობთ მეორე წერილში, რომელიც შვებულებაში მყოფ ახალგაზრდა მუშას შაქრო ურმებაშვილს გამოუგზავნია თელავიდან, — მღელვარებისაგან ღამეც კი ძილი არ მეკარებოდა. ყველა ნაცნობ-მეგობრებს გადავუკითხე თქვენი გულისხმიერი წერილი. ვითვლი დღეებს, თუ როდის ამოვუდგები მეც გვერდში ჩემს ამხანაგებს და სხვა ქართველ ახალგაზრდა მეტალურგებთან ერთად დავიწყებ ჩემი სპეციალობის კიდევ უფრო გაღრმავებას“.

საქალაქო კომიტეტში ასეთი წერილები ასობითაა მიღებული. რუსთავის ორგანიზაციების ეს შესანიშნავი წამოწყება უსათუოდ მოწონების ღირსია. შეიძლება გამოიძებნოს ახალგაზრდა მუშებთან მუშაობის კიდევ მრავალი სხვა ცოცხალი ფორმა. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მზარდი ინდუსტრიის მუშათა კადრებით უზრუნველყოფას.

დასასრულ, კიდევ ერთი საკითხი — ფიზკულტურისა და სპორტის შესახებ. სპორტის დარგშიც ჩვენს რესპუბლიკას საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. ჩვენ გვყავს სპორტის შესანიშნავი ოსტატები. ბევრი მათგანი, როგორც, მაგალითად, ამხ. დუმბაძე, გოკიელი, თაყაიშვილი, ჯორჯაძე, პაიჭაძე, სანაძე, მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი. სპორტის ცალკეულ სახეებში — ფეხბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ჭიდაობაში ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივები წარმატებით იცავენ რესპუბლიკის სახელს საკავშირო შეჯიბრებებში. მიუხედავად ამისა, უნდა განვაცხადო, რომ ფიზკულტურის დარგში ქართველ ახალგაზრდობას და სასპორტო ორგანიზაციებს გაცილებით მეტი მოეთხოვებათ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ჯერ სანახევროდაც ვერ ვიყენებთ სპორტის ყველა სახის განვითარების ჩვენში არსებულ ფართო შესაძლებლობებს.

ქართველ ხალხში ნაციონალური სპორტის სახეებს უძველესი ისტორია აქვს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში სპორტული კულტურა დიდ სიმაღლეზე ავიდა. არც სასპორტო ნაგებობებით ვართ ღარიბი. ამას უნდა დავუმატოთ სპორტის განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი ჰავა და გეოგრაფიული პირობები, რომლებითაც დაჯილდოებულია ჩვენი რესპუბლიკა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა ამ გარემოებას, უნდა ვთქვათ, რომ სასპორტო მუშაობის მდგომარეობა საქართველოში დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. სპორტში, ისე როგორც ხელოვნებაში, ორი სხვადასხვა წლის მაჩვენებლების ერთიმეორესთან დაპირისპირება არ არის კანონზომიერი და არ იძლევა ზუსტ წარმოდგენას ნამდვილ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, მე მაინც მოვიყვან ზოგიერთ დამახასიათებელ ცნობას.

კალათბურთში 1940 წელს ჩვენს ვაჟთა გუნდს მეორე ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირში, წელს კი მან მესამე ადგილი დაიჭირა. ფრენბურთში 1940 წელს დაკავებული მესამე ადგილიდან ჩვენი გუნდი წელს მე-7 ადგილზე გადავიდა. კრივში ომისწინა წელს ჩვენებს პირველი ადგილი ეჭირათ, წელს კი მეოთხე ადგილზე არიან. „დინამოს“ ფეხბურთელთა თბილისის გუნდი 1940 წელს საკავშირო შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდა, წელს კი, როგორც იცით, მეოთხე ადგილი დაიკავა. ტანვარჯიშში ჩვენი გუნდი წელს მეოთხე ადგილზეა, მაშინ როდესაც მარშან მეორე ადგილი ეჭირა. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ადგილები თავისთავად ცუდი იყოს, მაგრამ ისეთი სპორტული ტრადიციებისა და შესაძლებლობის მქონე რესპუბლიკისათვის, როგორიც არის საქართველო, ამ შედეგებით დაკმაყოფილება შეუძლებელია.

სპორტის შემდგომი აღმავლობის საქმეს ხელი უნდა მოკიდონ ყველა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ და საბჭოთა ორგანოებმა. კომკავშირი უნდა იყოს სასპორტო ღონისძიებათა ორგანიზატორი და ფიზკულტურული მოძრაობის სულისჩამდგმელი. სპორტი არ არის უბრალო გასართობი. იგი ჯანსაღი, ფიზიკურად განვითარებული, მტკიცე ნებისყოფიანი ახალი თაობის აღზრდის მძლავრი საშუალებაა. ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტია და მთავრობა მას დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას აკუთვნებენ.

მთავარია მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გაშლა. სასპორტო მოძრაობაში უნდა ჩავაბათ ჩვენი ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი. რაც შეეხება თვით კომკავშირელებს, მე ვფიქრობ, არ უნდა იყოს არცერთი ისეთი კომკავშირელი, რომელიც სპორტის ერთ-ერთ სახეობას მაინც არ მისდევდეს. ეს კი საგრძნობლად გაადიდებდა ჩვენი სპორტსმენების რიცხვს.

უფრო ხშირად უნდა იმართებოდეს რაიონული, სარაიონთაშორისო, რესპუბლიკური შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. საჭიროა ამაღლდეს სასპორტო მუშაობა სკოლებში.

კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ სასპორტო ნაგებობათა მშენებლობა. არ უნდა დავუშვათ სასპორტო შენობების სხვა დანიშნულებით გამოყენება.

მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა გამოავლენს ნიჭიერ და სათანადო ფიზიკური მონაცემების მქონე ახალგაზრდობას, რომელმაც უნდა შეავსოს ჩვენი მაღალი თანრიგის სპორტსმენთა რიგები. მხოლოდ ამ გზით შესძლებენ ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციები და სპორტის ოსტატები წარმატებით იბრძოლონ რეკორდების დამყარებისათვის, საპატიო ადგილებისათვის საკავშირო და საერთაშორისო სასპორტო შეხვედრებზე.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტს და ჩვენს ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებებს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ჯერ კიდევ სათანადოდ დაყენებული არ არის ჩვენი სპორტის ოსტატების შემდგომი სრულყოფის საქმე. საკავშირო და რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის მზადების დროსაც კი ირღვევა ფიზკულტურელთა მომზადების რეჟიმი, არ წარმოებს მათი თანმიმდევრული და სისტემატური წრთვნა. ასეთ დაუდევრობას და უსისტემობას თვითეული სპორტსმენისა და ფიზკულტურული კოლექტივის მზადებაში გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. სპორტში წინსვლა ყოველდღიური დაძაბული ვარჯიშის გარეშე წარმოუდგენელია. ჩვენმა ფიზკულტურელებმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ეს მტკიცედ უნდა შეიგნონ.

ჩვენ გვაკლია მწვრთნელთა მაღალკვალიფიციური კადრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამით აიხსნება ისიც, რომ ბევრი მწვრთნელი 4-5 ადგილზე ირიცხება სრულ შტატში და ამიტომ არსებითად ვერსად ვერაფერს აკეთებს. საჭიროა გავაუმჯობესოთ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ტექნიკუმის მუშაობა და, რაც მთავარია, სწორად გამოვიყენოთ კადრები, რომლებსაც ისინი უშვებენ.

და, ბოლოს, ერთი პრეტენზია ჩვენი სპორტის მოწინავე ოსტატებისადმი. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მეცნიერმა აღზარდოს მეცნიერთა ახალი კადრები, სტახანოველმა მუშამ — სტახანოველთა ახალი კადრები. რატომ არ შეიძლება ასეთივე მოთხოვნილება წავუყენოთ სპორტის ოსტატებს? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დღემდე ამ ამხანაგების დიდი ნაწილი გაურბის ახალგაზრდობასთან მუშაობას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ არ სურთ თავიანთი ხელოვნების „საიდუმლო“ სხვას გაუზიარონ. აქ ამხ. სანაძემ განაცხადა, რომ ის შეარჩევს და მოამზადებს სპორტსმენებს თავის დარგში. ამხ. სანაძის ინიციატივამ ფართო მხარდაჭერა უნდა ჰპოვოს. ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ სპორტის ოსტატების მუშაობა ახალგაზრდა სპორტსმენებთან იმ მიზნით, რომ თვითეულმა მათგანმა რამდენიმე მაღალკვალიფიციური სპორტსმენი მოამზადოს სპორტის თავის სახეობაში.

მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ამხანაგებო. კომკავშირი მთელი ჩვენი მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მუშაობის აქტიური მონაწილეა და მის წინაშე ბევრი ამოცანა დგას. განსაკუთრებით დიდია კომკავშირის როლი სოფლად კოლმეურნეობათა საწარმოო ცხოვრებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში. კომკავშირი უნდა იყოს ინიციატორი და ხელისშემწყობი ისეთი დიდი ღონისძიებებისა, როგორიც არის ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა და, მეტადრე, ტყეებისა და მწვანე ნარგავების გაშენება, რაც მომავალში კიდევ უფრო გაამშვენიერებს, უფრო ჯანსაღს და ნაყოფიერს გახდის ჩვენი საყვარელი სამშობლოს მიწა-წყალსა და ბუნებას. მე ვფიქრობ, საქართველოს კომკავშირი ამ ამოცანების გადაჭრაშიც მოწინავე იქნება.

გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას — ჩვენს იმედსა და მომავალს! (ტაში).

გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ კომკავშირს! (**ტაში**).

გაუმარჯოს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას! (**ხანგრძლივი ტაში**).

გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობის მზრუნველ მამასა და მასწავლებელს, ჩვენი ხალხის საყვარელ ბელადს დიდ სტალინს! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან**).

საქართველოს ალკკ XVII ყრილობა

26 დეკემბერს დილის სხდომაზე საქართველოს ალკკ XVII ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ბ. სალუქვაძის მოხსენება.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

შემდეგ დაიწყო კამათი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ი. ზოდელავას საანგარიშო მოხსენების გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. მეგრელიშვილმა, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. გობრონიძემ, საქართველოს ალკკ სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ურიდიამ, საქართველოს ალკკ მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. ქ. შავიშვილმა, ამხ. ა. ჩერნუხინმა, საქართველოს ალკკ გორის რაიკომის მდივანმა ამხ. ლ. დოიჯაშვილმა, საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. გონგლაძემ, პოეტმა რ. მარგიანმა, საქართველოს ალკკ ასპინძის რაიკომის მდივანმა ამხ. ლ. ისაკაძემ, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა სპორტსმენმა ამხ. ლ. სანაძემ, ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორმა ამხ. ე. აგლაძემ, საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსმა ამხ. მ. ჩხეიძემ, საქართველოს ალკკ ხაშურის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ლაცაბიძემ, ამხ. დ. ლუკონოვმა.

ყრილობას მიესალმა თბილისის გარნიზონის საჯარისო ნაწილების კომკავშირელთა და ახალგაზრდობის დელეგაცია. დელეგაციის დავალებით ყრილობის დელეგატებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა მაიორმა გ. ოლეინიკმა.

ამით დამთავრდა ყრილობის მეორე სხდომა.

27 დეკემბერს დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ი. ზოდელავას მოხსენების გამო. კამათში გამოვიდნენ: კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ელ. ჯიოევი, ლაგოდეხის რაიკომის მდივანი ა. ბეგიაშვილი, გურჯაანის რაიკომის მდივანი ი. სიხარულიძე, მარნეულის რაიკომის მდივანი ჯ. მამედოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. აგლაძე, კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მდივანი ლ. ჯიქია, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. ჯანელიძე, კომკავშირის წალკის რაიკომის მდივანი ხ. მეგრაბიანი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნ. კეცხოველი, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. ხიტურიძე, პოეტი ი. ნონეშვილი, რომელმაც წაიკითხა ყრილობისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

დილის სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ქ. ჩარკვიანმა, რომელსაც ყრილობის დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ამხანაგმა ჩარკვიანმა თავის სიტყვაში, რასაც ყრილობის მონაწილენი ხშირად აწყვეტინებდნენ ტაშით, დასახა საქართველოს კომკავშირის მორიგი საბრძოლო ამოცანები.

დილის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. ა. შელეპინი, რომელსაც ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. ამხ. შელეპინმა ყრილობის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების, კომკავშირის რიგების ზრდის, კომკავშირელ ქალიშვილთა დაწინაურების საკითხებზე.

სხდომის დასასრულს ყრილობამ მქუხარე ტაშით მიიღო მისალმება ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი.

ამით დამთავრდა ყრილობის მესამე სხდომა.

27 დეკემბერს საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ი. ზოდელავას საანგარიშო მოხსენების გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ა. ფარულავამ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე), ი. ზუბკოვმა (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის თანაშემწე კომკავშირის დარგში), ბ. კოკაშვილმა (გაზეთ „მოლოდოი სტალინეც“ რედაქტორი), ვ. კუპრაძემ (საქართველოს სსრ განათლების მინისტრი) და ა. კინწურაშვილმა (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში). ამით დამთავრდა კამათი.

ყრილობამ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკული მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკური ხაზი—სწორად, დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

საღამოს სხდომაზე დაასახელეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობისა და საკავშირო ალკკ XI ყრილობის დელეგატობის კანდიდატები.

ათი წელი სოციალისტური შრომის გმირის წოდების დაწესების დღიდან

27 დეკემბერს ათი წელი შესრულდა სოციალისტური შრომის გმირის წოდების დაწესების დღიდან.

დებულებაში სოციალისტური შრომის გმირის წოდების დაწესების შესახებ აღნიშნულია, რომ ეს წოდება „...წარჩინების უმაღლესი ხარისხია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში და მიენიჭება იმ პირებს, რომლებმაც შესანიშნავი ნოვატორული საქმიანობით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, მეცნიერულ აღმოჩენათა და ტექნიკურ გამოგონებათა დარგში გამოიჩინეს განსაკუთრებული დამსახურება სახელმწიფოს წინაშე, ხელი შეუწყეს სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების აღმავლობას, სსრ კავშირის ძლიერებისა და დიდების ზრდას“.

სოციალისტური შრომის გმირის წოდების დაწესება ახალი შრომითი წარმატებების მისაღწევად ჩვენი სამშობლოს მშრომელთა წახალისების ახალი აქტი იყო.

პირველად სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა ამხანაგ სტალინს „განსაკუთრებული დამსახურებისათვის ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციის, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის, სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აგებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში“ — 1939 წლის 21 დეკემბერს, მისი დაბადების 60 წლისთავის დღეს.

1943 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლებს ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვს, ლ. პ. ბერიას, გ. მ. მალენკოვს, ა. ი. მიქოიანს, ლ. მ. კაგანოვიჩს.

საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე მოღვაწეობის 25 წლისთავის დღეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა მ. ი. კალინინს.

სოციალისტური შრომის გმირის წოდების დაწესების დღიდან განვლილი ათი წლის მანძილზე ჩვენი სამშობლოს ასობით მოწინავე ადამიანს მიენიჭა ეს უმაღლესი წოდება.

დიდი სამამულო ომის წლებში ეს წოდება მიენიჭა ჩვენი ქვეყნის ბევრ მოწინავე ადამიანს, რომელთა შრომითი მამაცობაც ხელს უწყობდა საბჭოთა ხალხის გამარჯვებას ფაშიზმზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა რკინიგზის ტრანსპორტის 127 მუშაკს „განსაკუთრებული დამსახურებისათვის ფრონტისა და სახალხო მეურნეობისათვის ტვირთზიდვის უზრუნველყოფაში და განსაკუთრებული მიღწევებისათვის ომიანობის მძიმე პირობებში რკინიგზის მეურნეობის აღდგენაში“. მათ შორის არიან ტრანსპორტზე შრომის სტახანოვური მეთოდების ინიციატორები, მთელი ქვეყნისათვის ცნობილი პ. ფ. კრივონოსი და ნ. ა. ლუნინი.

სოციალისტური შრომის გმირთა სახელოვან პლეადაში არიან მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილი მოღვაწეები — აკადემიკოსები ე. ო. პატონი, ნ. ნ. ბურდენკო, ა. ა. ბოგომოლეცი, ა. ი. აბრიკოსოვი, ა. ა. ბაიკოვი, ი. პ. ბარდინი და მრავალი სხვა.

1947 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა სოფლის მეურნეობის 49 საუკეთესო მოწინავეს 1946 წელს მიღებული უხვი მოსავლისათვის. მათ შორის არიან პ. ნ. ანგელინა, პ. თ. ვარივოდა, მ. ე. ოზერნი, ა. ა. პარმუზინა, ბასტი ბაგიროვა და სხვები. მას შემდეგ სოციალისტური სოფლის მეურნეობის კიდევ ასობით სტახანოველს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება უხვი მოსავლის მიღებისათვის და წარმატებებისათვის მეცხოველეობის დარგში.

* * *

27 დეკემბერს 10 წელი შესრულდა აგრეთვე მედლების „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ დაწესების დღიდან. ამ მედლებით დაჯილდოებული არიან სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ათასობით მოწინავენი. (საკდესი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

ონი

ონის მე-11 რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა, საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ვაჩაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა კომუნისტების აქტივობა და ავანგარდული როლი საკოლმეურნეო შრომასა და საწარმო-დაწესებულებათა მუშაობაში.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიული, კომკავშირული, სამეურნეო კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმე. წელს უკეთ მოეწყო პარტიული განათლების ქსელის მუშაობა, ამაღლდა ლექციური პროპაგანდის ხარისხი. არის ნაკლოვანებებიც. ჯერ კიდევ დამყარებული არ არის წესრიგი მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა მუშაობაში.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ვ. ჩაკვილაძის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15 ამხანაგმა.

კონფერენციამ რაიონული კომიტეტის მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიტიკური ხაზი—სწორად და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. კონფერენციამ აირჩია რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. გ. ვაჩაძე, მეორე მდივნად — ამხ. ტ. მეტრეველი, მდივნად კადრების დარგში—ამხ. ა. ჭელიძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ა. ქემოკლიძემ. (**საქ. კორ.**).

ხობი

ხობის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. მ. სიორდია. მან დაწვრილებით ილაპარაკა იმ პოლიტიკურ-სამეურნეო წარმატებებზე, რასაც საანგარიშო პერიოდში ხობის პარტიულმა ორგანიზაციამ მიაღწია.

მომხსენებელმა სათანადო ადგილი დაუთმო ნაკლოვანებათა კრიტიკას.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 18 ამხანაგმა. მათი გამოსვლები საქმიანი იყო.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად, აირჩია რაიკომისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

რაიკომის პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. მ. სიორდია, მეორე მდივნად—ამხ. ნ. კუჭავა, მდივნად კადრების დარგში—ამხ. ვ. კუკავა.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა ორგანიზატორმა ამხ. ვ. რობაქიძემ (**საქ. კორ.**).

წყალტუბო

წყალტუბოს რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე რაიკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. ჭახრაკიამ.

მომხსენებელმა ფართოდ გააშუქა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობა რაიონის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის დარგში მეოთხე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 10 ამხანაგმა. მოკამათეებმა გააკრიტიკეს რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებას მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

კონფერენციამ პარტიის რაიკომის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად. ფარული კენჭისყრით აირჩიეს რაიკომისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

შედგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ნ. ჭახრაკია, მეორე მდივნად—ამხ. გ. გაგოშაძე, მდივნად კადრების დარგში—ამხ. ს. ფხაკაძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. ი. მონიავა. (**საქ. კორ.**).

პასუხი პროფესორ ჰენრი დეილს

1942 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ თავის საპატიო წევრად აირჩია ინგლისელი ფიზიოლოგი ჰენრი დეილი, რომელიც იმ დროს ინგლისის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტი იყო. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ ამას წინათ მიიღო წერილი, სადაც ჰენრი დეილი აცხადებს, რომ გადის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან, რასაც იმით ასაბუთებს, რომ არ ეთანხმება აკადემიის გადაწყვეტილებებს ბიოლოგიის საკითხებზე. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში პროფესორ დეილის წერილის მიღებამდე დიდი ხნით ადრე ამ წერილის ნაწყვეტები ფართოდ გამოქვეყნდა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრესაში საბჭოთა კავშირისადმი აშკარა მტრული მიზნით.

თავის წერილში ჰენრი დეილი ამტკიცებს, რომ საბჭოთა ბიოლოგიურ მეცნიერებაში მიჩურინული მიმართულების გამარჯვება არ წარმოადგენს მეცნიერული აზრების პატიოსანი და აშკარა კონფლიქტის შედეგს. ეს მტკიცება აშკარად ეწინააღმდეგება ფაქტებს და მოწმობს იმას, რომ პროფესორმა ჰენრი დეილმა ან დაივიწყა, ანდა შეგნებულად უგულებელყო ბიოლოგიური მეცნიერების ისტორიის ზოგიერთი ძირითადი ფაქტი.

მეცნიერული აზრების კონფლიქტი, რომელზეც ჰენრი დეილი ლაპარაკობს, არა ერთი ათეული წელია ვითარდება ბიოლოგიაში. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დამდეგს დარვინიზმის ერთგული გუშაგი, რუსი მეცნიერი კ. ა. ტიმირიაზევი გატაცებით იცავდა დარვინის მოძღვრებას ვეისმანის, მენდელისა და ბეტსონისაგან. ტიმირიაზევმა გადაჭრით გაილაშქრა ჩანასახის უცვლელი პლაზმის მოძღვრების სხვადასხვა მეტაფიზიკური სახეებისა და გენების მოძღვრების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირში დარვინის მოძღვრებამ განსაკუთრებული გავრცელება და შემდგომი ღრმა განვითარება ჰპოვა. ჩვენში შეუძლებელია „მაიმუნის პროცესები", რაც ამერიკაში ხდებოდა. ჩვენი მკვლევარების ნაშრომებით ახალი თავები ჩაიწერა დარვინიზმის მატერიალისტურ მოძღვრებაში და ამ დარგში უდიდესი დამსახურება ეკუთვნის ი. ვ. მიჩურინს.

თავის დროზე დარვინი აღნიშნავდა, რომ მან არასაკმარისად დაამუშავა ორგანიზმთა ცვალებადობის წარმოშობაზე გარემოს გავლენის საკითხი. მიჩურინის ნაშრომებში ორგანული ბუნების განვითარების კანონზომიერებათა ეს ცენტრალური საკითხი ყოველმხრივ გაშუქებულ იქნა. მან ცხადყო, რომ არსებობის პირობების გავლენით წარმოიშობა და იცვლება ორგანიზმთა ნიშნები და რომ ეს ცვლილებანი მემკვიდრეობით მტკიცდება. ობსკურანტების ვერავითარი გაბოროტება ვერ გააბათილებს მიჩურინის აღმოჩენებს, რადგან ისინი ემყარებიან პრაქტიკულად ფართოდ გამოყენებული მრავალი ექსპერიმენტის მასალებს.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელმა ლენინმა აღმოაჩინა მიჩურინი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ყოველგვარი დახმარება გაუწია მას, ყველა საჭირო პირობა შეუქმნა მისი ნაშრომების განვითარებას.

დიდი ფიზიოლოგი პავლოვი მსოფლიოში ცნობილ თავის ფიზიოლოგიურ გამოკვლევათა საფუძველზე მივიდა ანალოგიურ დასკვნამდე, რომ ორგანიზმთა არსებობის პირობებს წამყვანი მნიშვნელობა აქვს ამ ორგანიზმების ინდივიდუალურ და ისტორიულ შეგუებაში. ჯერ კიდევ 1913 წელს ფიზიოლოგთა გრონინგენის საერთაშორისო კონგრესზე გამოსვლის დროს პავლოვმა განაცხადა: „შეიძლება მივიღოთ, რომ ზოგიერთ ახალ შექმნილ პირობით რეფლექსს უფრო გვიან მემკვიდრეობითობა უპირობო რეფლექსად გადააქცევს".

მიჩურინის დევიზი: „ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან; ჩვენი ამოცანაა გამოვართვათ მას ეს წყალობა" — გახდა დევიზი ყველა მოწინავე საბჭოთა მეცნიერისა, რომელნიც ხალხის საკეთილდღეოდ შრომობენ. მიჩურინის მოძღვრება, რაც აკადემიკოსმა ლისენკომ განავითარა, იძლევა იმის გასაღებს, თუ როგორ გარდავქმნათ შეგნებულად მცენარისა და ცხოველის ბუნება ისე, როგორც ადამიანს ესაჭიროება. სწორედ ამიტომ მიჩურინულ მოძღვრებას მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა სახელმწიფო და კომუნისტური პარტია, რომლებიც ამოცანად ისახავენ საზოგადოების კეთილდღეობის ყოველმხრივ განვითარებას.

მრავალი წლის დავა ერთის მხრივ ნამდვილი შემოქმედებითი დარვინიზმის მომხრეთა, დარვინიზმისა, რომელიც უმაღლეს საფეხურზე არის აყვანილი მიჩურინის ნაშრომებში და, მეორე მხრივ, მენდელ-მორგანის მოძღვრების მომხრეთა შორის ჩვენს ქვეყანაში ამ უკანასკნელთა დამარცხებით დამთავრდა. ეს დამარცხება გარდუვალი იყო, როგორც გარდუვალია ყველა იმ მეცნიერულ მოძღვრებათა დამარცხება, რომლებიც გზაზე ეღობებიან მეცნიერების განვითარებას.

მენდელ-მორგანის შეხედულებათა არამეცნიერული რაობა განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა უკანასკნელი დროის მოვლენებში. სრულიადაც შემთხვევითი არ არის, რომ ეს მოძღვრება საფუძვლად დაედო ჰიტლერის რასობრივ თეორიას, გახდა ნაციზმის მთელი სისაძაგლისა და სისხლიანი კოშმარის თეორიული ბაზა. პროფესორმა დეილმა უნდა იცოდეს, რომ ამჟამად ამ მოძღვრებას იყენებენ ამერიკაში ზანგების დევნის, კოლონიური ხალხების ჩაგვრის გასამართლებლად, მსოფლიო ბატონობის დამყარებისადმი ამერიკის პრეტენზიათა დასასაბუთებლად. პროგრესისა და დემოკრატიის ყველა გულწრფელი დამცველი უნდა მიესალმოს ამ მოძღვრების განადგურებას.

ძნელია ბრალად დავდოთ პროფესორ დეილს, რომ იგი არ იცნობს ბიოლოგიური მეცნიერების ისტორიის ზოგიერთ ძირითად ფაქტს. დაგვრჩენია მხოლოდ ის ვიფიქროთ, რომ მისი წერილის შედგენისას თავი იჩინა იმ ძალების გავლენამ, რომელთაც მეცნიერებასთან საერთო არა აქვთ რა. პროფესორი დეილი ნებას აძლევს თავს გამოიყენოს შეუმოწმებელი ფაქტები, თითქოს გენეტიკის დარგში მუშაობა სსრ კავშირში შეზღუდულ იქნა, თუმცა ცნობილია, რომ ამ მუშაობას მიჩურინული მოძღვრების გამარჯვების შედეგად უმაგალითო გასაქანი მიეცა. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჰენრი დეილის წერილი მეცნიერულ დავასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ იგი მთელი დემოკრატიის წინააღმდეგ, მაშასადამე სსრ კავშირის წინააღმდეგაც მიმართული ცილისწამების პოლიტიკური კამპანიის იარაღი გახდა. ეს კამპანია შთაგონებულია ნამდვილი მეცნიერებისა და დემოკრატიის მტრების, ამერიკისა და ინგლისის ანტიდემოკრატიული აგრესიული ძალების მიერ.

პროფესორი დეილი, რომელიც დათანხმდა ანტიდემოკრატიული ძალების მორჩილი იარაღი გამხდარიყო, მხოლოდ სიბრალულის გრძნობას გამოიწვევს მსოფლიოს ყველა პატიოსან მეცნიერში.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა განიხილა პროფესორ ჰენრი დეილის წერილი, როგორც მეცნიერებისა და დემოკრატიის საზიანოდ მიმართული, გამოიტანა გადაწყვეტილება ჩამოერთვას მას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრის საპატიო წოდება და თავისი გადაწყვეტილება შეაქვს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების დასამტკიცებლად.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

მივაღწიოთ ჩამორჩენის ლიკვიდაციას გადასახადთა ნარჩენების აკრეფაში

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ძირითად წყაროს შეადგენს სოციალისტური მეურნეობისაგან მიღებული თანხები. ამ თანხებთან ერთად ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გადასახადები.

საფინანსო ორგანოები ვალდებული არიან დროულად აკრიფონ მოსახლეობაში საგადასახადო თანხები.

ჩვენი რესპუბლიკის საფინანსო ორგანოებმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობის ფართოდ გაშლის შედეგად გადასახდელების, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. მიმდინარე წლის 20 დეკემბრისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის მეოთხე კვარტალის გეგმა შეასრულეს: აფხაზეთის ასსრ საფინანსო ორგანოებმა (ფინანსთა მინისტრი ამხ. ს. მათითაშვილი) — 96,8 პროცენტით, ქუთაისის რაიონმა (რაიონული საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ლეშკაშელი) — 100 პროცენტით, ასპინძის რაიონმა (ამხ. ა. ჩიხლაძე) — 99,8 პროცენტით, თიანეთის რაიონმა (ამხ. ლ. გიორგობიანი)—96,1 პროცენტით, ფოთმა (ამხ. ნ. სალია) — 95,7 პროცენტით, ხობის რაიონმა (ამხ. ე. ჯობავა) — 94,3 პროცენტით, წითელწყაროს რაიონმა (ამხ. ა. ლორთქიფანიძე) — 94,2 პროცენტით, აბაშის რაიონმა (ამხ. შ. გრიგოლია) — 94 პროცენტით, ლაგოდეხის რაიონმა (ამხ. ი. ყაველაშვილი) — 93,4 პროცენტით, ამბროლაურის რაიონმა (ამხ. კ. ხიდურელი) — 93,2 პროცენტით, თბილისის რაიონმა (ამხ. ს. ძამუკაშვილი) — 92,4 პროცენტით, ბოლნისის რაიონმა (ამხ. გ. მჩიათიშვილი) — 92,1 პროცენტით და სხვა რაიონებმა.

მაგრამ ზოგ რაიონში გადასახად-გამოსაღებთა აკრეფის გეგმების შესრულება, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 20 დეკემბრისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფაში შესამჩნევი ჩამორჩენა ჰქონდათ ყაზბეგის რაიონს (რაიაღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. გ. ახალაშვილი), სადაც გეგმა შესრულებულია 59,2 პროცენტით, გეგეჭკორის რაიონს (ამხ. ბ. ხვიჩია) — 62,1 პროცენტით, ქარელის რაიონს (ამხ. ნ. ინჯია) — 66,1 პროცენტით.

გადასახად-გამოსაღებთა ამოღებაში ჩამორჩენის მიზეზია მოსახლეობაში მასობრივი ახსნაგანმარტებითი მუშაობის სუსტად გაშლა, ამ საქმეში ადგილობრივი აქტივის ჩაუბმელობა, თვით საფინანსო ორგანოების მუშაკთა მოუქნელობა. მთავარი ამოცანა ახლა ის არის, რომ უახლოეს დღეებშივე შევძლოთ გადასახადთა ნარჩენების მთლიანად აკრეფა და უზრუნველვყოთ ყველა გადასახდელის გეგმის შესრულება.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დახმარება უნდა გაუწიონ საფინანსო ორგანოებს ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაში.

რადიოკვანძი კოლმეურნეობაში

ჭიათურა. (საკ. კორ.). კარგი თაოსნობა გამოიჩინა სოფელ მანდაეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ. კოლმეურნეობაში მოეწყო რადიოკვანძი. ოცდაათმა კოლმეურნემ უკვე გაიყვანა რადიოხაზი და მათი ბინები რადიოფიცირებულია.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი საკოლმეურნეო რადიოკვანძია ჭიათურის რაიონში.

ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტების) მე-5 ყრილობაზე

სოფია, 25 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტების) მე-5 ყრილობის დილის სხდომა დაიწყო ტრაიჩო კოსტოვის მოხსენებით პარტიის ახალი პროგრამის მომზადების შესახებ. შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა გიორგი დიმიტროვმა, რომელსაც მთელი დარბაზი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

დიმიტროვმა ხაზგასმით აღნიშნა ყრილობის სრული ერთსულოვნობა პარტიული პოლიტიკის ძირითად საკითხებში და აღნიშნა პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანები ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

ჩვენ ფართოდ გამოვიყენებთ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და საბჭოთა კავშირის გამოცდილებას, როგორც ერთადერთ და საუკეთესო ნიმუშს არა მარტო ჩვენთვის, არამედ სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნისთვისაც, თქვა დიმიტროვმა, და მტკიცე რწმენით გავწევთ წინ, სოციალიზმისაკენ. სოციალიზმის გზა ძნელია, მაგრამ ეს ერთადერთი მხსნელი გზაა მუშათა კლასისათვის, ყველა მშრომელთათვის. ჩვენი პარტია სიძნელეთა დაძლევას სწავლობს და ისწავლის საკავშირო კომუნისტური პარტიისაგან (ბოლშევიკებისა), დიდი სტალინისაგან.

დიმიტროვის ამ საბოლოო სიტყვებმა გამოიწვია მქუხარე ოვაცია საკავშირო კ. პ. (ბ) და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადის ი. ბ. სტალინის პატივსაცემად. მთელი დარბაზი ფეხზე დგება, გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს სტალინს!", „გაუმარჯოს სტალინსა და დიმიტროვს!"

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტების) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშის გამო. ყრილობამ სწორად ცნო პარტიის გენერალური ხაზი და მოიწონა მისი პოლიტიკური საქმიანობა.

მიღებულია აგრეთვე რეზოლუცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვილკო ჩერვენკოვის მოხსენების გამო მარქსისტულ-ლენინური განათლებისა და იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის შესახებ.

მუშაობა დაამთავრა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მე-5 ყრილობამ

სოფია, 25 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტების) მეხუთე ყრილობის საღამოს სხდომაზე განხილულ და მიღებულ იქნა რეზოლუცია ბულგარეთის ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოსმენილი მოხსენების გამო, აგრეთვე პარტიის წესდების ცვლილებები და დამატებები.

მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ დელეგატები პარტიის სახელწოდების გამოცვლას. ამიერიდან პარტიას ეწოდება „ბულგარეთის კომუნისტური პარტია". დარბაზში დიდხანს გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას!".

დელეგატებმა აირჩიეს კომისია პარტიის ახალი პროგრამის პროექტის შესამუშავებლად, რომელიც უნდა წარედგინოს პარტიის შემდგომ ყრილობას და შეუდგნენ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობის კანდიდატურათა განხილვას.

კანდიდატურათა ხანგრძლივი განხილვის შემდეგ მოხდა არჩევნები ფარული კენჭისყრით. ცენტრალური კომიტეტის წევრებად არჩეული არიან: გიორგი დიმიტროვი, ტრაიჩო კოსტოვი, ვასილ კოლაროვი, ვილკო ჩერვენკოვი, გიორგი ჩანკოვი, ანტონ იუგოვი, გიორგი დამიანოვი, დობრი ტერპეშევი, ვლადიმერ პოპტომოვი, მინჩო ნეიჩევი, რაიკო დამიანოვი, ცოლა დრაგოიჩევა და სხვები, სულ 47 კაცი. ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებად არჩეულია 28 კაცი. ცენტრალური სარევიზიო კომისია არჩეულია 15 კაცის შემადგენლობით.

ყრილობის დელეგატები მხურვალედ მიესალმნენ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ახალ შემადგენლობას.

ყრილობის თავმჯდომარემ ვასილ კოლაროვმა თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა, რომ ყრილობამ განსაკუთრებული ერთსულოვნობით მიიღო ისტორიული გადაწყვეტილებები, რომლებიც მიმართულია ბულგარეთში სოციალიზმის საფუძვლების აშენებისაკენ. ეს გადაწყვეტილებები, თქვა კოლაროვმა, საჭიროა ფართოდ განვუმარტოთ მშრომელ მასებს. საჭიროა გავაძლიეროთ და სათავეში ჩავუდგეთ მასების ენთუზიაზმს ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომლებითაც დასახულია ყველაზე სწორი გზა სოციალიზმისაკენ.

გაუმარჯოს ბულგარეთის სახელოვან კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს მის ცენტრალურ კომიტეტს გიორგი დიმიტროვის მეთაურობით! გაუმარჯოს ჩვენს დიდ მასწავლებელს სტალინს!

კოლაროვის ამ მოწოდებებს მთელი დარბაზი უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურა. დელეგატები ფეხზე ადგნენ და ოვაცია გამართეს დიდი სტალინისა და გიორგი დიმიტროვის პატივსაცემად. დიდხანს გაისმოდა შეძახილები: ვაშა სტალინს! ვაშა სტალინსა და დიმიტროვს! გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)! წინ, დიმიტროვის ხელმძღვანელობით!

ღამის 1 საათზე კოლაროვი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობას დახურულად აცხადებს. დელეგატები კვლავ ფეხზე დგებიან და მღერიან „ინტერნაციონალს".

გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა და ენერგეტიკოსთა ნარმატებანი

მარშალ სოკოლოვსკის ბრძანება

ბერლინი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებელმა საბჭოთა კავშირის მარშალმა სოკოლოვსკიმ გასცა ბრძანება, რომელიც მიძღვნილია ოკუპაციის საბჭოთა ზონის ქვანახშირისა და ენერგეტიკული მრეწველობის 1948 წლის მუშაობის შედეგებისადმი.

ბრძანებაში აღნიშნულია, რომ გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ქვანახშირისა და ენერგეტიკულმა მრეწველობამ წარმატებით გაართვა თავი საწარმოო დავალებებს, ვადამდე შეასრულა ქვანახშირის ამოღებისა და ბრიკეტების გამოშვების გეგმა, აგრეთვე ელექტროენერგიის წარმოების გეგმა. ამასთან ერთად გაწეულია დიდი მუშაობა შახტების, ბრიკეტის ფაბრიკებისა და ელექტროსადგურების აღსადგენად და ასამუშავებლად. ეს წარმატებები მიღწეულია იმის მეოხებით, რომ ქვანახშირისა და ენერგეტიკული მრეწველობის სახალხო საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები კეთილსინდისიერად ეკიდებოდნენ შრომას. საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებაში დიდი როლი ითამაშა ქვანახშირის მრეწველობაში წარმოშობილმა აქტივისტთა მოძრაობამ შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის—მნგრეველ ხენეკეს მიმდევართა მოძრაობამ.

საბჭოთა კავშირის მარშალმა სოკოლოვსკიმ მიულოცა ქვანახშირისა და ენერგეტიკული მრეწველობის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და ხელმძღვანელებს 1948 წელს მიღწეული წარმატებანი, აგრეთვე მითითება გასცა, რომ ერთი თვის ხელფასით დაჯილდოვდნენ ქვანახშირის მრეწველობის მთავარი სამმართველოსა და გერმანიის ეკონომიური კომისიის ენერგეტიკის სამმართველოს მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები. ქვანახშირის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსს ნება დაერთო მმართველობის სახსრებიდან გამოჰყოს 200 ათასი მარკა ქვანახშირის მრეწველობის სისტემის იმ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დასაჯილდოებლად, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

საომარი მოქმედება ინდონეზიაში

ნიუ-იორკი, 26 დეკემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან (ბატავია) გადმოგვცემს, რომ ჰოლანდიის ჯარებმა, რომელნიც უგულებელყოფენ უშიშროების საბჭოს ბრძანებას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, 25 დეკემბერს დაიკავეს ქალაქები მადიუნი, კედირი და ანჯერი, რითაც ფაქტიურად დაამთავრეს კუნძულ იავის ოკუპაცია.

ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 22 დეკემბერი. (საკდესი). გამომცემლობა „სიკრამ" გამოსცა ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა პირველი ტომი. წიგნის ტირაჟი 50 ათასი ცალია.

ჩრდილოეთ კორეიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის გამო

ფხენიანი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფხენიანის რადიო გადმოგვცემს, კანვონის პროვინციიდან მთლიანად გაყვანილია საბჭოთა ჯარები.

საბჭოთა ოფიცრები კორეის ორდენებით დააჯილდოეს

ფხენიანი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფხენიანის რადიო გადმოგვცემს, კორეის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებით იაპონიის იმპერიალიზმისაგან კორეელი ხალხის განთავისუფლების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის საბჭოთა გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფი დაჯილდოებულია „სახელმწიფო დროშის" ორდენით. პირველი ხარისხის „სახელმწიფო დროშის" ორდენით დაჯილდოებულია 22 კაცი, მეორე ხარისხის „სახელმწიფო დროშის" ორდენით დაჯილდოებულია 49 კაცი და მესამე ხარისხის „სახელმწიფო დროშის" ორდენით—44 კაცი.

უთანხმოებანი „მარშალიზებულ" ქვეყნებს შორის

ბელგიის გაზეთები ეკონომიური აღდგენის ინგლისური გეგმის შესახებ

ბრიუსელი, 24 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „პეპლი" წერს, რომ „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაციის" წევრი ქვეყნების მიერ წარმოდგენილი 16 პროგრამიდან ყველაზე მეტად გააკრიტიკეს ინგლისის ეკონომიური აღდგენის პროგრამა, განსაკუთრებით საფრანგეთმა და ბენილუქსის ქვეყნებმა.

მემარჯვენე გაზეთები ინგლისის პროგრამაში ხედავენ „ძალაუფლების პოლიტიკას", „დისკრიმინაციულ ტენდენციებს", „ეკონომიურ ავტარკიას". ლიბერალური გაზეთი „დერნიერ ერი" სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „ბრიტანული გეგმა და ბელგია", წერს, რომ ამას წინათ გამოქვეყნებულმა სტერლინგური ბლოკის ქვეყნების ეკონომიური აღდგენის პროგრამამ „შეაშფოთა ბენილუქსის ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი". ეს გეგმა მიზნად ისახავს სავსებით მოხსნას დეფიციტი ინგლისის სავაჭრო-საანგარიშსწორებო ბალანსში დასავლეთ ევროპის მიმართ. ჩვენი ინგლისელი მეზობლები, განაგრძობს გაზეთი, ვარაუდობენ ამ მიზნით კიდევ უფრო გაადიდონ თავიანთი საწარმოო სიმძლავრე და მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ თავიანთი ვაჭრობა მსოფლიო ბაზრებზე. ომამდელზე მეტის წარმოებით და ნაკლების მოხმარებით ინგლისელებს სურთ ამავე დროს შეამცირონ დოლარების თავიანთი დეფიციტი და გააუმჯობესონ თავიანთი საანგარიშსწორებო ბალანსები ევროპაში. მათ სურთ ორივე კონტინენტზე სულ უფრო მეტი და მეტი რაოდენობით გაყიდონ თავიანთი საქონელი.

ინგლისის ეკონომიკის აღდგენის ახლანდელი გეგმა, აღნიშნავს გაზეთი, მხოლოდ და მხოლოდ იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის გადიდების პოლიტიკის განგრძობას წარმოადგენს.

ბელგიას არ შეუძლია დაეთანხმოს ინგლისის გეგმის პროექტს, ვინაიდან ეს გეგმა საშიშია ბელგიისათვის იმის გამო, რომ სტერლინგური ბლოკის ქვეყნები ბელგიის ძირითადი დებიტორები არიან.

არა მარტო ბენილუქსის ქვეყნებმა, არამედ დასავლეთის სხვა სახელმწიფოებმაც, წერს გაზეთი „დერნიერ ერი", მკვეთრად გაილაშქრეს ინგლისის პროექტის წინააღმდეგ, რომლის მიზანია გააუმჯობესოს ინგლისის მდგომარეობა ევროპის ქვეყნების საზიანოდ.

ინგლისის ფინანსთა მინისტრის სტაფორდ კრიპსის იმ განცხადების საპასუხოდ, რომ ინგლისს განზრახვა აქვს გაადიდოს თავისი ექსპორტი ბელგიაში, გაზეთი აცხადებს: სავსებით ცხადია, რომ ბელგიას შეუძლია უარი თქვას ინგლისის საქონელზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

თბილისის წყალსადენი წინადადებას აძლევს თავის აბონენტებს—დაწესებულებებს, საწარმოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სახლთმმართველობებსა და სახლთმფლობელებს:

ა) წესრიგზე მოიყვანონ საზომის ჭები და ამბრაზურები (გაასუფთაონ ნაგვისა და ტალახისაგან) და შეფუთნონ წყალსაზომი, არმატურა და მილები, რათა თავიდან აცილებულ იქნას ყინვისაგან მათი დაზიანება.

ბ) დახარჯული წყლის ანგარიშის ყოველი თვის 25 რიცხვამდე მიუღებლობის შემთხვევაში ანგარიში მიიღონ თბილწყალსადენის საექსპლოატაციო კანტორაში და გადაიხადონ 5 დღის ვადაში.

იმ აბონენტებს, რომელნიც არ შეასრულებენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებებს, თბილისის წყალსადენის ტრესტი იძულებული იქნება შეუწყვიტოს წყლის მიწოდება.

მისამართები: ლენინის სახელობის რაიონი, ხუდადოვის ქ. № 3, ტელეფონი 3-28-47,
სტალინის სახელობის რაიონი, დიდუბის ქ. № 8, ტელეფონი 3-23-48
მოლოტოვის სახელობის რაიონი, ტოლსტოის ქ. № 6, ტელეფონი 3-88-03
26 კომისრის რაიონი, შაუმიანის ქ. № 11, ტელეფონი 3-39-49
კიროვის სახელობის რაიონი, ლესელიძის ქ. № 34, ტელეფონი 3-56-81
ბერიას სახელობის რაიონი, კოლმეურნეობის ქ. № 14, ტელეფონი 3-91-81
ორჯონიკიძის სახელობის რაიონი, ბელინსკის ქ. № 2, ტელეფონი 3-38-58
გარეუბნის რაიონი, ავჭალა, ტელეფონი, 3-38-84.

ისარგებლეთ შემნახველი სალაროს მომსახურებით

შემნახველი სალაროები იღებენ ანაბრებს ყველა მოქალაქისაგან და აძლევენ ანაბრებს ნაწილ-ნაწილად ან მთლიანად მეანაბრეთა პირველი მოთხოვნისთანავე.

მტკიცედ იცავენ ანაბრების საიდუმლოებასა და ხელუხლებლობას.

აწარმოებენ მეანაბრის პირველი მოთხოვნისთანავე მისი ანაბრის გადაგზავნას რომელიმე სხვა შემნახველ სალაროში.

აწარმოებენ ანაბრების გაცემას მეანაბრეთა მინდობილობით.

შემნახველ სალაროებში შეტანილ ანაბრებზე მეანაბრენი იღებენ შემოსავალს:

ანაბრებზე მოთხოვნამდე და მიმდინარე ანგარიშზე 3% წლიურად.

ვადიან ანაბრებზე — ვადით არანაკლებ 6 თვისა — 5% წლიურად.

მომგებიან ანაბრებზე შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით, მოგებათა გათამაშება ხდება წელიწადში ორჯერ.

მოგების თანხა დამოკიდებულია ანაბრის ოდენობასა და შემნახველ სალაროში მისი შენახვის ხანგრძლივობაზე.

შეიტანეთ ანაბრები შემნახველ სალაროში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო

სახლთმმართველთა, სახლთმფლობელთა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საყურადღებოდ

„მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 30 აპრილის ბრძანებულების 30 მუხლის შესაბამისად, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება აცხადებს:

ა) სახლთმმართველები და სახლთმფლობელები მოვალენი არიან რაიფინგანის მიერ დაწესებულ ვადებში წარუდგინონ მათ დადგენილი წესით შევსებული სააღრიცხვო ცნობები ფორ. № 1 ბარათის მიხედვით, ხოლო იანვრის შემდეგ მომხდარ ცვლილებებზე რაიფინგანებს წარუდგენენ ცნობებს ყოველი თვის 10 რიცხვისათვის.

ამასთანავე მოქალაქეებმა, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი შემოსავლის წყაროები (ხელფასის გარდა მუშაობის ადგილას), მაგალითად: შინამრეწველ-ხელოსნებმა, სახლთმფლობელებმა, კერძო პრაქტიკის მქონე ექიმებმა და მასწავლებლებმა და სხვ., 1949 წლის 1-დან 16 იანვრამდე უნდა წარუდგინონ სათანადო რაიფინგანებს დეკლარაციები (განცხადებები) გასულ წელს მიღებული შემოსავლის შესახებ, ხოლო 1949 წლის განმავლობაში შემოსავლის წყაროების წარმოშობისას უნდა წარადგინონ ცნობები პირველი თვის შემოსავლის შესახებ თვის გასვლის შემდეგ 5 დღის განმავლობაში.

„მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 30 აპრილის ბრძანებულების 33, 34 და 35 მუხლების თანახმად, დაჯარიმებული იქნებიან ის სახლთმმართველები, სახლთმფლობელები და მოქალაქენი, რომელნიც არ შეასრულებენ ზემოაღნიშნულ მოვალეობებს, ან წარუდგენენ რაიფინგანებს არასწორ ან არასრულ ცნობებს.

ბ) „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულების მე-12 მუხლის თანახმად, საწარმონი, დაწესებულებანი და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან არა უგვიანეს 1 თებერვლისა წარუდგინონ რაიფინგანებს შენობის გადასახადისა და მიწის რენტის გაანგარიშება № 15 ფორმის მიხედვით, ხოლო ახლად აგებულ შენობებზე იმ თვეში, რომელშიც ეს შენობები გადაცემულ იქნება საექსპლოატაციოდ.

ამ გაანგარიშების დაწესებულ ვადაში წარუდგენლობის ან არასწორი ცნობების წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული ბრძანებულების მე-14 მუხლის თანახმად, დაჯარიმებული იქნებიან საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციების მთავარი (უფროსი) ბუხჰალტრები;

გ) დეკლარაციებში (განცხადებებში) განზრახ არასწორი ცნობების შეტანა გამოიწვევს დამნაშავეთა სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემას.

სააღრიცხვო ბარათის, დეკლარაციის (განცხადების) და № 15 ფორმის ბლანკების გაცემა წარმოებს ქალ. თბილისის იმ რაიონის საფინანსო განყოფილებაში, სადაც დასახელებული ორგანიზაციები იმყოფებიან და მოქალაქენი ცხოვრობენ.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზათა მთავარი სამმართველოს კოლექტივი იუწყება **გიორგი ივანეს-ძე შატბერაშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **დავით ცქიფურიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-XII ზესტაფონში.

და ნატაშა შატბერაშვილი, სიძე ვარლამ ლალიაშვილი შვილებით, დეიდა ალექსანდრა ბაბუნაშვილი, თედო, დუშა ჭახელიძეები, დიმიტრი, ანა დოთიაშვილები იუწყებიან **გიორგი ივანეს-ძე შატბერაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28-XII, 5 ს. ლამის, 48.

მეუღლე არკადი ხუციევი, შვილი ლევან იუწყებიან **გულნარა ლევანის ასულ მამულაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28-XII, 4 ს. მარჯანიშვილის, 16.

შვილები თამარ, კლავდია, მიხეილ, სიძეები ვასილ თევდორაძე და კორნელი რამიშვილი შვილებით იუწყებიან **ნიფადორა სამსონის ასულ მეხხის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-XII, 7 ს. გამოსვენება 30-XII, 4 ს. ბელინსკის, 2.

მეუღლე ნინო, შვილი შოთა იუწყებიან **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე მახარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 2-I, 3 ს. პეტრიაშვილის, 28.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის თანამშრომლები იუწყებიან შოთა მახარაძის მამის **ალექსანდრე მახარაძის** გარდაცვალებას.

ანა ჭყონია, საშა ჩუბინიძე და კოტე ებანოიძე ოჯახებით იუწყებიან თ რუსაძის დედის **ელისაბედის** გარდაცვალებას.

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის საწუნდებლო საფეიქრო განყოფილების კოლექტივი იუწყება **გულნარა ლევანის ასულ მამულაშვილი-ხუციევას** გარდაცვალებას.

მშობლები მარო და არჩილ, და ნათელა დავითაშვილები იუწყებიან, რომ 30-XII, 12 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ციალას** პანაშვიდი.

„საქპურტრესტის" თანამშრომლები იუწყებიან ჯ. ჯანელიძის დის **გულნარა ლევანის ასულ მამულაშვილის** გარდაცვალებას.

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის სამღებრო-სააპრეტურო საამქროს კომკავშირის ორგანიზაცია იუწყება **გულნარა ლევანის ასულ მამულაშვილი-ხუციევას** გარდაცვალებას.

მეუღლე ბაბილინა, შვილები ნინო, მარიამ, ოლია, მარგარიტა, იოსებ, რაჟდენ, ნოე, რძლები ნინო, თალიკო, სიძე ნიკოლოზ შვილებით იუწყებიან **იაგორ (გიორგი) ლუკას-ძე კაჭახიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII დიდ ჯიხაიშში.

ძმა ვახტანგ, რძალი თამარ, ძმისშვილები ცირა და ქართლოსი დარჩიები იუწყებიან **მათიკო ნიკოლოზის ასულ დარჩიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII, ქ. ქუთაისში, ჯაფარიძის, 10.

მეუღლე ილია რუსაძე, შვილები გიორგი, თევდორე, ოლია, სონია, მარო, სიძე გიორგი პატიაშვილი ოჯახით, რძლები ტატიანა, თამარ და ცაცა იუწყებიან **ელისაბედ რუსაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-XII, ქუთაისში, ნინოშვილის, 157.

შვილები ამირან, თეიმურაზ, ლამარა ცამციევები იუწყებიან **მარიამ (მათიკო) ნიკოლოზის ასულ დარჩიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII, ქ. ქუთაისში.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 110.000 უე 17216